პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 275 (10361) | კვირა, 20 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

არტილერიის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ზეიმით აღნიშნავენ ტრადიციულ დღესასწაულს — არტილერიის დღეს. ამ დღის დაწესება დაკავშირებულია ისტორიულ მნიშვნელობის ფაქტთან, როცა 1942 წლის 19 ნოემბერს ჩვენი ჯარებმა, საბჭოთა არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლის მხარდაჭერით, კონტრშეტევაზე გადავიდნენ ვოლგის ციხე-სიმაგრე სტალინგრადთან და გალაღგურეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები, რაც ჰიტლერული არმიის მზის ჩასვენება იყო.

რუსეთის არტილერიას საუკუნეების ისტორია აქვს. ეს ისტორია არის რუსული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ისტორია. რუსმა არტილერისტებმა თავიანთი სახელები დიდებით შემოსეს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, რომლებსაც დიდი მხედართმთავრები პეტრე პირველი, სუვოროვი, კუტუზოვი ხელძღვანელობდნენ. რუსმა ადამიანებმა თავიანთი შემოქმედებით დიდი წვლილი შეიტანეს არტილერიის განვითარებაში.

საბჭოთა არტილერია, ჩვენი შეიარაღებული ძალების შემადგენელი ნაწილი, შეიქმნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მზრუნველობის მეოხებით. სამოქალაქო ომის ქარცეცხლში დაბადებული საბჭოთა არტილერია, რომელმაც შემოქმედებითად შეითვისა ყოველივე კარგი და მოწინავე, რაც რუსეთის არტილერიას ჰქონდა, უმაგალითოდ განვითარდა და დავაჟკაცდა რომამდელი ხუთწლედების მანძილზე, სოციალისტური მრეწველობის ზრდასა და განვითარებასთან, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასთან ერთად. საბჭოთა არტილერიის სრულყოფა დაკავშირებულია არტილერიის ნიჭიერი კონსტრუქტორების სახელებთან. საბჭოთა კონსტრუქტორებმა ვ. გრაბინმა, ფ. პეტროვმა და სხვებმა შექმნეს საარტილერიო შეიარაღების ახალი სახეები. ჩვენს ქვეყანაში გაიზარდნენ არტილერისტ მეთაურთა შესანიშნავი კადრები.

დიდი სამამულო ომის წინ საბჭოთა არტილერია უკვე მრისხანე საბრძოლო ძალას წარმოადგენდა, იგი ომში ყოველმხრივ მომზადებული ჩაება. არტილერიამ, სხვა გვარეობის ჯარებთან ერთად, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებული ომის მსვლელობაში ბრწყინვალედ შეასრულა მისთვის დაკისრებული ამოცანა, მან უდიდესი ზიანი მიაყენა ფაშისტურ არმიას, მოსპო და გაანადგურა მტრის უამრავი საბრძოლო ტექნიკა, დაამსხვრია და მწყობრიდან გამოიყვანა ათასობით ტანკი.

არტილერიამ, სახელოვანმა საბჭოთა არტილერისტებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მოსკოვის, ლენინგრადის, სევასტოპოლის გმირული დაცვის საქმეში. ლენინგრადის ფრონტის მამაცი არტილერისტები თითქმის ორნახევარი წლის მანძილზე გმირულად უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგის მძლავრ საარტილერიო დაჯგუფებას. სევასტოპოლის გმირული თავდაცვის დროს, რაც 250 დღეს გრძელდებოდა, ჩვენმა არტილერიამ ფაშისტთა აურაცხელი საბრძოლო ტექნიკა და ცოცხალი ძალა გაანადგურა.

დიდი სამამულო ომის მსვლელობაში, ომისა, რომელიც ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების, საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და სიცოცხლისუნარიანობის მკაცრი გამოცდა იყო, საბჭოთა არტილერისტებმა უჭკნობი დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები და დიდი როლი შეასრულეს ომის გამარჯვებით დამთავრების საქმეში.

თვალსაჩინო წვლილი შეიტანა არტილერიამ იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში.

სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში ჩვენი არტილერისტების დამსახურებას მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობამ. ათასობით არტილერისტს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ათეულ ათასობით არტილერისტი საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული. მათ შორის ჩვენი დიდი ხალხთა სამშობლოს ყველა ხალხის შვილებთან ერთად იყვნენ ქართველი ხალხის შვილებიც.

არტილერიის დღე წელს აღინიშნება მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში, იმ დროს, როცა ყრილობის აღსანიშნავად მთელ ჩვენს დიად სამშობლოში ფართოდ გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, როცა თავის ძალებსა და სიმართლეში დარწმუნებული საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს და ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

არტილერიის დღე აღინიშნება ისეთ საერთაშორისო ვითარებაში, როცა ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა ხალხი სულ უფრო აძლიერებს თავის ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკას მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ მილიონობით უბრალო ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხეში.

მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ჩაბმული საბჭოთა ხალხი აღსავსეა მტკიცე გადაწყვეტილებით — ბოლომდე იაროს კომუნისტური პარტიის, დიდი ლენინისა და სტალინის მიერ დასახული გზით, რადგან ეს გზა გამარჯვებისა და ბედნიერების გზაა.

თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი, რომელიც არტილერიის დღეს აღნიშნავს ახალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, კიდევ უფრო აძლიერებს თავის შემოქმედებითს ძალებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში მორიგ წარმატებათა მოსაპოვებლად, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად.

თავიანთ დღესასწაულს საბჭოთა არტილერისტები ეგებებიან ახალი მიღწევებით საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლებაში, იმისათვის მზადმყოფნი, რომ ბოლომდე შეასრულონ თავიანთი ვალი სოციალისტური სამშობლოს წინაშე, მტკიცედ იდგნენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე.

არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გუშინ, 19 ნოემბერს, საბჭოთა არმიის თბილისის საოლქო სახლში გაიმართა არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ შეკრიბნენ თბილისის გარნიზონის გენერლები, ოფიცრები, საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოსმენილ მოხსენება არტილერიის დღის შესახებ.

მომხსენებელმა ილარიონ საბჭოთა არტილერისტების სახელოვან გმირობაზე დიდი სამამულო ომის წლებში, ომისშემდგომი პერიოდის მათს მიღწევებზე საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლაში. მომხსენებელმა თქვა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენენ საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის და მათ შორის ჩვენი სახელოვანი არტილერიისათვის.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში

19 ნოემბერს შედგა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ვ. ესაიაშვილმა.

სესიაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. კაჭარავა — „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციაა“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ებანოიძე — „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მშრომელთა მასების რევოლუციური ბრძოლების სათავეში რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში“ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ყვანია — „საქართველოს ბოლშევიკური პრესა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“.

სესიაზე მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები, რუსეთის პირველი რევოლუციის აქტიური მონაწილეები: გ. სტურუა, ნ. ალადჯალოვი და გ. პარკაძე.

ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში მოწყობილი იყო რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯინგი დელში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის გამო

დელი, 19 ნოემბერი. (საქდესი). დელის მოქალაქენი სალამითი კვლავ შეხვდნენ ინდოეთში სტუმრად მყოფ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ნ. ს. ხრუშჩოვს. რამლილას მოედანზე — ძველ და ახალ დელს შუა ვრცელ გაუშენებელ ნაკვეთზე — შეიკრიბა მასობრივი მიტინგი, რომელსაც ინდოეთში უწოდებენ „სამოქალაქო დარბაზობას“ — შეხვედრას, რომელიც ეწყობა ქალაქის მოქალაქეთა სახელით. მიტინგზე, რომელიც მიმდინარეობდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს თავმჯდომარეობით, ნახევარ მილიონზე მეტი კაცი შეიკრიბა. ტრიბუნის წინ განიერ ნახვევარრკალად სხედან, ინდოეთის ჩვეულებრივ მიხედვით მიწაზე, მრავალრიცხოვანი მოწვეულნი: პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. სპეციალური ადგილები მიჩენილი აქვთ დიპლომატიური კორპუსის წევრებს. მოედნის მთელ თვალუწვდენ სივრცეზე მოთავსდა ხალხის მასა, რომელიც მოვიდა, რომ მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობის ამ მანიფესტაციაში.

ტრიბუნაზე ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. ნერუს გამოჩენას შეკრებილნი მხურვალე მისალმებებით შეხვდნენ. მოედანზე აფრიალდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ათასობით ალამი. ჰაერში აუშვეს ფერადფერადი ფრანები. ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და ჯ. ნერუ გულითადად მიესალმნენ შეკრებილთ.

ტრიბუნაზე იყვნენ აგრეთვე ქალაქ დელის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე რ. ნ. აგარვალი, დელის შტატის მთავარი მინისტრი გ. ნ. სინგჰი, ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის თავმჯდომარე უ. ნ. დჰებარი, ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები.

ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს ტრადიციული ინდური ჰირლანდები, რომლებსაც მხარზე გადაუგდებენ ხოლმე და რომლებიც დაწნულია ოქროს ძაფებისა და ცოცხალი ყვავილებისაგან.

დელის სკოლების მოსწავლე გოგონებმა შეასრულეს მისასალმებელი სიმღერა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ, რომელიც დაწერა პოეტმა რ. დ. ს. დინკარმა ინდოეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლის გამო.

მიტინგი, რომლის ტრანსლაცია წარმოებდა მთელ მოედანზე რადიორეპროდუქტორებით, გახსნა ჯ. ნერუმ. მან სიტყვა მისცა ქალაქ დელის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს აგარვალს, რომელმაც დელის მოქალაქეთა სახელით გამოაქვეყნა მისასალმებელი ადრესი ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

ადრესი, რომელიც დელის მოქალაქეებმა მიართვეს მათს აღმაჭეებულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ბ-ნ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

თქვენო აღმატებულებავ!

ვამაყობ იმით, რომ წილად მხვდა პატივი მხურვალედ მივესალმო თქვენს აღმატებულებას ამ ძველი ქალაქის დელის, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ისტორიული დედაქალაქის სახელით. თითქმის ისტორიის გარიჟრაჟზე ეს ქალაქი ან მისი წინამორბედები ამ რაიონში იყვნენ დიდ სახელმწიფოთა დედაქალაქები. ათასეული წლების ამ გრძელი პერიოდის განმავლობაში ინდოეთის ჭრელი ისტორია ძირითადად ხდებოდა ამ ისტორიული ადგილის გარშემო. ის, რასაც ახლა ეწოდება ძველი ქალაქი დელი, შეიძლება ვივარაუდოთ, იყო მეშვიდე ქალაქი, ხოლო ახალი ქალაქი დელი, რომელიც უკანასკნელ 30 წელიწადში გაიზარდა, ამრიგად, არის მერვე ქალაქი ამ რაიონში. აქ იქმნებოდა და იშლებოდა დიდი იმპერიები. და ახლა ქალაქი დელი უცხოეთის ხანგრძლივი პერიოდის ბატონობის შემდეგ კვლავ გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქი.

ჩვენი თავისუფლების წარსულ რვა წელიწადში ჩვენ მივესალმეთ ბევრ თვალსაჩინო სტუმარს, მათ შორის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებსა და ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებით გაგვიღიმა ბედმა დღეს მივესალმოთ აქ თქვენს აღმატებულებას. დიდი აუდიტორია, რომელიც აქ შეიკრიბა ამ ბედნიერ შემთხვევასთან დაკავშირებით, ჩვენი ხალხის გრძნობების დამადასტურებელია.

ხუთი თვის წინათ ჩვენი პრემიერ-მინისტრი ეწვია თქვენს დიდ ქვეყანას. მე მსურს ვისარგებლო ამ შემთხვევით და ჩვენი დიდი მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს მისთვის აღმოჩენილი გულთბილი შეხვედრისათვის, რამაც დიდად გაახარა ჩვენი ხალხი. ეს შეხვედრა გახდა ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის სურვილის სიმბოლო.

თქვენი აღმატებულების ვიზიტი მსოფლიო ისტორიის ამ მომენტში ჩვენი მთავრობისა და ინდოელი ხალხის მოწვევით დიდად ღირსშესანიშნავია. იგი ადასტურებს და განამტკიცებს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მზარდ მეგობრობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მეგობრობა არა მარტო სასარგებლოა ჩვენი ქვეყნებისათვის, არამედ დახმარებასაც გაგვიწევს წინ წავწიოთ საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმე, რაც ესოდენ ძვირფასია ჩვენთვის.

ჩვენი მეგობრობა მიმართული არ არის რომელიმე ქვეყნის ან ხალხის წინააღმდეგ. მიზანი, რომლის დასახვასაც თავის წინაშე ესწრაფვოდა ინდოეთი და რომლისადმი სამსახურსაც იგი ესწრაფვოდა, ის არის, რომ იქონიოს მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მაშინაც კი, თუ პოლიტიკის დარგში არის აზრთა განსხვავება. ვბედავთ ვიფიქროთ, რომ ამ პოლიტიკამ რამდენადმე შეუწყო ხელი მშვიდობისა და ურთიერთგაგების საქმეს.

ჩვენი ხალხი მიესალმა თქვენი აღმატებულების ბ-ნ ბულგანინისა და ჩვენი პრემიერ-მინისტრის ერთობლივ განცხადებას ივნისში. ამ განცხადებას, რომელიც ადასტურებს რწმენას აქტიური და მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპისადმი, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მას შემდეგ ეს ხუთი პრინციპი, რომლებიც ინდოეთში ცნობილია როგორც „პანჩა შილა“, საფუძვლად დაედო ჩვენს შეთანხმებას ინდოეთსა და ჩინეთს შორის. ისინი თანდათან მიიღო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრმა ქვეყანამ და გახდნენ მშვიდობის შენარჩუნების ძირითადი პრინციპები. ინდოეთის პოლიტიკა ემყარება სწორედ ამ პრინციპებს და ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას.

ამ პოლიტიკაში ახალი არაფერია. იგი ბუნებრივი შედეგია იმისა, რაზეც ფიქრობდა ინდოეთი მრავალი წარსული წლების მანძილზე. 2.300 წლის წინათ დიდმა იმპერატორმა აშოკამ გამოაცხადა შემწყნარებლობისა და მეგობრობის პოლიტიკა ყველა ადამიანისადმი, რაც უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, და თავისი ედიქტები ამოკვეთა ბევრ ქვის სვეტსა და კლდეებზე, რომლებიც დღემდე დაცულია და მოგვაგონებენ მის წერილს. ჩვენ ვამაყობთ და დიდად მადლობელი ვართ იმისათვის, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად სამსახური გაუწიოს ამ დიდ საქმეს.

ინდოელი ხალხი დიდად აფასებს ბევრ ნაბიჯს, რომლებიც თქვენი აღმატებულების მთავრობამ გადადგა მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის და იმ დაძაბულობისა და შიშის შენელებისათვის, რომელმაც, საუბედუროდ, მთელი მსოფლიო მოიცვა. საერთაშორისო მდგომარეობა უკვე გაუმჯობესდა, თუმცა ბევრი მეტად ძნელი პრობლემა ჯერ კიდევ მოელის გადაწყვეტას. მაგრამ ყველა მოაზროვნე ადამიანმა დღეს აღიარა, რომ ომი არ არის გადაწყვეტა, თავისთავად იგი არის დამარცხების აღიარება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ახლანდელი ცივილიზაციის დანგრევა. ჩვენ ვიცით, რომ რუსი ხალხი ერთგულია მშვიდობის საქმისა და ყოველ ღონისძიებას იღებს, რათა განამტკიცოს თავისი დიდი ქვეყანა, რათა უზრუნველყოს მისი კეთილდღეობა და პროგრესი. ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს იმ კონსტრუქციულ ღონისძიებათა წარმატებებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირი დააყენეს პირველ რიგებში მეცნიერების დარგში და მეცნიერების გამოყენების დარგში, და ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ წარმატებებს.

ჩვენი ორივე ქვეყანა ზოგიერთი მხრივ განსხვავდება თავისი პოლიტიკური და სოციალური სისტემით. მაგრამ მაინც არის ბევრი საერთო რამ ჩვენს შორის და იმ მიზნებს შორის, რომლებიც ჩვენ დავისახეთ, და არსებობს თანამშრომლობის დიდი ასპარეზი. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ეს თანამშრომლობა ძლიერდება მეცნიერების, ტექნიკისა და ვაჭრობის დარგში. როგორც საბჭოთა კავშირი და ბევრი სხვა ქვეყანა, ჩვენ ვისწრაფვით განიარაღების საკითხის გადაჭრისადმი, რათა მოვსპოთ მუდმივი შიში ომის წინაშე და რომ ყოველ ქვეყანას ჰქონდეს შესაძლებლობა იცხოვროს თავისუფლებისა და მშვიდობის ვითარებაში.

სადაც უნდა წავიდეს თქვენი აღმატებულება ინდოეთში, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ შეხვდებით ჩვენი ხალხის გულთბილ მიღებას. ეს იქნება დიდი დამადასტურებელი ჩვენი კეთილი ნებისა საბჭოთა კავშირის ხალხისადმი, ვიდრე ფორმალური მიმართვანი მისალმებით.

იმედი გვაქვს, რომ თქვენ გადასცემთ საბჭოთა კავშირის ხალხს ამ ქალაქის მოქალაქეთა მისალმებას და თქვენი დიდი ქვეყნის შემდგომი პროგრესისა და აყვავების მათს კეთილ სურვილებს. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი ყოფნა ინდოეთში სასიამოვნო იქნება თქვენთვის და რომ სამუდამოდ დაგრჩებათ ხსოვნაში მოგონებანი ამ ძველი ქვეყნის ხალხზე, ქვეყნისა, რომელიც კვლავ აღორძინების პროცესშია, რამდენადაც თავისუფლება მოიპოვა. გმადლობთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცით მოგესალმოთ ქალაქ დელისა და მის მოქალაქეთა სახელით. ვბედავთ და ჩვენი მეგობრობისა და კეთილი ნების ნიშნად გთავაზობთ დელის ცნობილი შინამრეწველების მხატვრული ნამუშევრის რამდენიმე ნიმუშს.

გაუმარჯოს ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას!

თქვენი გულწრფელი პატივისმცემლები — დელის მოქალაქეები.

რამლილას მოედანი, დელი, 1955 წლის 19 ნოემბერი.

• • •

აღრესის გამოქვეყნების შემდეგ რ. მ. აგარვალმა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვა ამ დოკუმენტის ტექსტი, რომელიც ოქროს ძაფებით ამოქარგულია აბრეშუმზე, აგრეთვე სპილოს ძვლის ნაკეთობანი, რომლებიც შესრულებულია დელის სახელგანთქმული მეჩუქურთმე ოსტატების მიერ.

ჯ. ნერუ სიტყვას აძლევს ნ. ა. ბულგანინს. მიტინგის მონაწილენი მხურვალედ უკრავენ ტაშს საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

პატივცემულო ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, ბ-ნო ქალაქ დელის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეო!

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, ინდოეთის სახელოვანი დედაქალაქის, შესანიშნავ ქალაქ დელის მოქალაქენო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო ინდოეთის მთავრობას და დიდად პატივცემულ პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს პირადად ჩემგან, ამხანაგ ხრუშჩოვის სახელით, ჩვენთან ერთად ჩამოსული ჩვენი მეგობრების სახელით თავაზიანი მოწვევისათვის, რომელმაც შეაძლებლობა მოგვცა გვენახა თქვენი დიდი ქვეყანა, უფრო ახლო გაგვეცნო მისი ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი. (ტაში).

ნება მიბოძეთ აგრეთვე მადლობა გადაგიხადოთ თქვენ ყველას გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ აღმოგვიჩინეთ. (ტაში). ჩვენ დიდად აგვაღლვა ამ გულითადმა მიღებამ და იგი მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი დიდი ინდოელი ხალხის გულწრფელი მეგობრობის გამოვლინებად. (ტაში).

გადმოგცემთ თქვენ და თქვენი სახით ინდოეთის მთელ 400-მილიონიან ხალხს მხურვალე სალამს და უაღრესად საუკეთესო სურვილებს ყველა საბჭოთა ადამიანისას, რომლებიც გამსჭვალული არიან გულწრფელი და უანგარო მეგობრობის გრძნობით ინდოეთის ხალხებისადმი. (ტაში).

ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა დიდი ხანია ჩაისახა და არასოდეს არ შელახულა კონფლიქტები ან მტრობით. ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობის გრძნობა განსაკუთრებით გაიზარდა და განვითარდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა დიდი ოქტომბრის რევოლუცია. (ტაში).

საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლებული საბჭოთა ადამიანები დიდი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ თქვენს თავდადებულ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ჩვენ გვახარებდა თქვენი წარმატებანი ამ ბრძოლაში, იმიტომ რომ ჩვენ ყოველთვის ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგი ვიყავით. (ტაში). ჩვენმა დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად გამოაცხადა სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარება, ყველა ხალხის თვითგამორკვევის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლების აღიარება. (ტაში).

მას შემდეგ, რაც ინდოეთი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო გახდა, შეიქმნა ახალი, კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განვითარებისათვის.

ამჟამად საბჭოთა კავშირი და ინდოეთის რესპუბლიკა თავიანთ ურთიერთობას აშენებენ მტკიცე და საიმედო საფუძველზე, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, რაიმე ეკონომიური, პოლიტიკური ან იდეოლოგიური ხასიათის მოტივებით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე, თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის. აგრეთვე მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე. ეს ხუთი პრინციპი, რომლებიც პირველად გამოაცხადეს ინდოეთმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და რომლებსაც თქვენ „პანჩა შილას“ უწოდებთ. ახლა მოიწონა ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანმა და მათ ნაყოფიერად ახორციელებენ მთელი რიგი სახელმწიფოები. (ტაში).

ინდოეთის მთავრობა ბევრ რამეს აკეთებდა და აკეთებს მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. (ტაში). საბჭოთა ხალხი, რომელსაც არაერთხელ მოუხდა იარაღით ხელში დაეცვა უცხო დამპყრობლებისაგან თავისი მიწაწყალი და რომელმაც განსაკუთრებით კარგად იცის, თუ რა აურაცხელი უბედურება მოაქვს ხალხებისათვის ომებს, სულით და გულით მიესალმება ინდოეთის მთავრობისა და ხალხის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. (ტაში).

საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნები გამოდიან როგორც მოკავშირეები მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის კეთილშობილურ და დიად ბრძოლაში.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლების აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ინდოეთს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირს, თანმიმდევრული და მტკიცე პოზიცია უკავია. (ტაში).

ჩვენი ქვეყნის ხალხები დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან ინდოელი ხალხისა და მისი მთავრობის ღონისძიებებს თავიანთი ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში, განსაკუთრებით საკუთარი მრეწველობის განვითარებაში. (ტაში). ჩვენ საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი სახელმწიფოს ნამდვილი დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, თქვენ მოგელით ბევრი სიძნელის გადალახვა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ინდოეთის შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხი შეძლებს დასახული მიზნის მიღწევას. (ტაში). ჩვენი მხრივ მზად ვართ გაგიზიაროთ სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურების, ჰიდრონაგებობათა მშენებლობის, მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების ჩვენი გამოცდილება და სხვა მიღწევები.

ახლა შეიქმნა ყველა საჭირო პირობა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას სულ უფრო ფართო და მრავალმხრივი ხასიათი ეძლევა. გარდა ეკონომიური დარგისა, ეს ურთიერთობა მოიცავს აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის დარგს. ეს განსაკუთრებით გვახარებს, რადგან ფართო კულტურული გაცვლა, ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის კულტურული საგანძურის გაცნობა აახლოვებს და სულიერად უფრო ამდიდრებს მათ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყოველმხრივ და ფართო გაცვლას კულტურისა და ხელოვნების დარგში.

ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილება აქვთ, მაგრამ ჩვენს ხალხებს ძალიან ბევრი რამ საერთო აქვთ, და ეს საერთო განმტკიცებს ჩვენს მეგობრობას, მტკიცეს და ნაყოფიერს

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ნ. ა. ბულგანინის სიტყვის დასასრული

ხდის მას არა მარტო ინდოეთისა და საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. (ტაში).

საბჭოთა და ინდოელი ხალხებისათვის საერთო ის არის, რომ ისინი მშვიდობისმოყვარე და შრომისმოყვარე ხალხები არიან; ორივე ხალხისათვის უცხოა რასიზმი და კოლონიალიზმი. ისინი აქტიურად იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, ეროვნული სუვერენიტეტისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის. (ტაში).

გაუმარჯოს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას და თანამშრომლობას! (მქუხარე ტაში).

ჯაი ჰინდ!

უკანასკნელ სიტყვებს, რომლებიც ნიშნავენ „გაუმარჯოს ინდოეთს", მიტინგის დამსწრენი მქუხარე ტაშით და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ.

• • •

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ. მიმართა რა შეკრებილთ, მან ტაშის გრიალში და მოწონების შეძახილებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელი გრანდიოზული „სამოქალაქო დარბაზობის" ყველა მონაწილეს დიდხანს არ დააივიწყდება ეს დღე.

ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვა

ხუთი თვის წინათ მე ვიყავი საბჭოთა კავშირში. დღეს ჩვენ აქ, ინდოეთის დედაქალაქში მივესალმებით საბჭოთა კავშირის ორ მეტად თვალსაჩინო ხელმძღვანელს. მოსკოვში კმაყოფილება მქონდა ბევრი საკითხი განგვეხილა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან ერთად და ამ შემთხვევაშიც ჩვენ განვიხილავთ საკითხებს, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ.

მაგრამ ჩემი გამგზავრება საბჭოთა კავშირში და ბ-ნ ბულგანინის და ბ-ნ ხრუშჩოვის მგზავრობა ინდოეთში მარტო ორი ქვეყნის წამყვან წარმომადგენელთა შეხვედრას როდი ნიშნავს, რაოდენ დიდმნიშვნელოვანიც უნდა იყოს ეს შეხვედრები. ეს მგზავრობანი მოასწავებენ რაღაც უფრო ღრმასა და უფრო შორს გამიზნულს.

როცა საბჭოთა კავშირში ჩავედი, იქ შევხვდი ბევრ საბჭოთა ადამიანს, და მათ სავსებით მიჩვენეს თავიანთი კარგი განწყობილება და კეთილი განზრახვანი. ბ-ნმა ბულგანინმა და ბ-ნმა ხრუშჩოვმა დელში გაატარეს დღეღამეზე ცოტა მეტი, მაგრამ მათ, ცხადია, უკვე იგრძნეს იმ გულთბილი სტუმართმოყვარეობის რაღაც ნაწილი, რომელსაც მათ ჩვენი ხალხი უწევს.

ისინი ინახულებენ ინდოეთის სხვა დიდ ქალაქებს, და დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან შეხვდებიან ასეთსავე მიღებას, კარგი განწყობილებითა და კეთილი სურვილებით აღსავსეს. ისინი ნახავენ რამდენიმე მილიონ კაცს ინდოეთის მრავალრიცხოვანი მოსახლეობიდან, და ამ მილიონობით ადამიანთა თვალში აისახება მათდამი და საბჭოთა ხალხისადმი კეთილი სურვილები და კარგი განწყობილება.

მაშასადამე, ეს არის არა მარტო შეხვედრა ცალკეული პირებისა, რაც უნდა მაღალი პოსტები ეკავთ მათ, არამედ უფრო ორი დიდი ხალხის შეხვედრა, და ამას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გუშინ დილაადრიან ჩვენმა თვალსაჩინო სტუმრებმა თავიანთი მგზავრობა დაიწყეს ტაშკენტიდან ინდოეთში. მათ გადაუფრინეს მაღალ მთებს და დელში ჩამოვიდნენ ამავე დღის მეორე ნახევარში. მაღალი მთების ბარიერი, რომელიც ინდოეთს ჰყოფს სხვა ქვეყნებისაგან ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღარ არის კედელი, რომელიც ჩვენ გვყოფს. იგი ხდება კავშირი ჩვენს ორ ქვეყანას შორის. ამას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს, და ეს გვაიძულებს ცოცხლად შევიგნოთ, თუ რაოდენ ურთიერთდაკავშირებულია თანამედროვე მსოფლიო. ამ ურთიერთდაკავშირებას და ურთიერთობას აქვს არა მარტო გეოგრაფიული ხასიათი და აიხსნება არა მარტო კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებით, არამედ უფრო მეტად იდეების ნაკადისა და იმ გაგების შედეგად, რომელიც ამ მსოფლიოს თანდათანობით ერთიანს ხდის.

მე კარგად ვიცი, რომ ამჟამად მსოფლიო ერთიანი არ არის და რომ შიში და ეჭვები თიშავენ ქვეყნებს. მაგრამ ჩვენ ყველანი გარდუვალად ვქმნით უფრო მჭიდრო ურთიერთობას ერთმანეთთან. ჩვენ მივესალმებით მოვლენათა ამ მსვლელობას და ჩვენ, ინდოეთში, გვსურს ფართოდ გავიღოთ ჩვენი კარები და ფანჯრები მთელ მსოფლიოს, რათა შესაძლებელი იქნას სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა უფრო მეტი ურთიერთგაგების არსებობა და ყოველმა ხალხმა ისწავლოს ის, რაც კარგია მეორე ქვეყანაში, თუნდაც იგი ბევრი მხრივ განსხვავდებოდეს მეორისაგან.

თანხმობის წერტილები გაცილებით მეტია, ვიდრე უთანხმოების წერტილები. კაცობრიობის ძირითადი მიზნები საერთოა ყველა ჩვენგანისთვის. ამიტომ ჩვენ ინდოეთში მოვუწოდებდით და მოვუწოდებთ იმისაკენ, რასაც ეძახიან მშვიდობიანი არსებობისადმი დინამიკურ და პოზიტიურ მიდგომას. აი რატომ გამოვიჩინეთ გამბედაობა წარვუდგინოთ სხვებს ხუთი პრინციპი, რომლებიც აქ ცნობილია პანჩა შილას სახელწოდებით და ითვალისწინებენ თავდაუსხმელობას, ჩაურევლობასა და თანამშრომლობას და იმას, რომ ყოველმა ქვეყანამ იცხოვროს თავისებურად, მეორის ჩაურევლად. ბედნიერი ვარ, რომ საბჭოთა მთავრობა და ხალხი აგრეთვე დაეთანხმნენ ამ ხუთ პრინციპს, და დარწმუნებული ვარ, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა მიიღებს მათ, რადგან ცივილიზებულ კაცობრიობას სხვა გზა არა აქვს.

ჩვენ ინდოეთში მივდევთ ჩვენი ეპოქის გამოჩენილ წარმომადგენელს მაჰათმა განდის, რომელიც მოგვიწოდებდა გავთავისუფლებულიყავით სიძულვილისა და ძალადობისაგან, ვყოფილიყავით ყველას მეგობრები და ამავე დროს გვქონოდა ჩვენი რწმენა და ჩვენი პრინციპები. ჩვენ ვიჩენთ გამბედაობას ეს მიდგომა გამოვიყენოთ იმათ მიმართაც კი, ვინც არ გვეთანხმება, და ამიტომ ჩვენ შევძელით შეგვექმნა ჩვენთვის მეგობართა დიდი წრე ქვეყანათა შორის და, როგორც ვფიქრობთ, არ შეგვეძინა მტრები. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ განვიცდით არავითარ მტრობას რომელიმე ქვეყნისადმი.

ამ სულისკვეთებით უდგება ინდოელი ხალხი დიდ საბჭოთა ხალხს, ეძებს მის მეგობრობასა და თანამშრომლობას. ჩვენ უბრალო ადამიანები ვართ და არ განვიცდით მეტოქეობის გრძნობას რომელიმე ქვეყნის მიმართ. მაგრამ განზრახული გვაქვს მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქცია ჩვენ მიერ არჩეული სოციალისტური გზის საფუძველზე ისე, რომ თვითეულს ინდოეთში შეეძლოს სავსებით ისარგებლოს პროგრესის შესაძლებლობებით.

ამ მხრივ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბევრ რამეს ვისწავლით საბჭოთა კავშირის დიდ მიღწევათა საფუძველზე ადამიანის მოღვაწეობის ბევრ დარგში.

დღევანდელი დღის მსოფლიოში არსებობენ ძნელი პრობლემები, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი პრობლემა შეიძლება მოწესრიგდეს თანამშრომლობის მშვიდობიანი მეთოდების დახმარებით. ჩვენ უწინარეს ყოვლისა მშვიდობის მომხრე ვართ, რადგან იგი გვესაჭიროება ჩვენ და დანარჩენ მსოფლიოს, და ამიტომ ჩვენ ყველა იმათი ამხანაგი ვართ, ვინც აგრეთვე მუშაობს მშვიდობისათვის.

მე არ მესაჭიროება დავძინო რაიმე სიტყვა პირადად ჩემი მხრივ, რათა მივესალმო ჩვენს გამოჩენილ სტუმრებს, რადგან მათ ეს მისალმება უკვე ამოიკითხეს ჩვენი ადამიანების მხურვალე და მეგობრულ ცქერაში.

• • •

ინდოეთის პრემიერ-მინისტრს სიტყვა არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით. თავისი სიტყვის დასასრულს ნერუმ, რომელსაც მხარი დაუჭირა მიტინგის მონაწილეთა ასეულ ათასობით ხმამ, გამოაცხადა ლოზუნგები: „გაუმარჯოს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას", „ჯაი ჰინდ", „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში".

დელში ბინდი ჩამოწვა. აინთო შუქი. დამახასიათებელი ინდური არქიტექტურის მაღალი თეთრი ტრიბუნა ბრწყინავდა პროჟექტორების შუქში. მოედნის გარშემო მდგომი ვეებერთელა ხეების ფოთლებში აციმციმდა ფერადფერადი შუქი. ინდოეთში არსებობს საუცხოო ჩვეულება — ილუმინაცია მოაწყონ პარკის ხეების ფოთლებში, რაც ქმნის შესანიშნავ ლამაზ ეფექტს — თითქოს უძრავად გაყინულა ფეიერვერკი. მოედანზე მდებარე ქალაქის შენობებიც ილუმინაციით იყო მორთული.

მიტინგის დასასრულს ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ჰიმნები.

დაუსრულებელ ნაკადებად იშლებოდნენ მიტინგის მონაწილენი დელის ქუჩებში.

რამლილას მოედნიდან წასვლისას — ისევე როგორც მიტინგზე მოსვლის მომენტში — ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ენთუზიაზმით მიესალმებოდა ათასობით ადამიანი, რომლებითაც აივსო მოედნის ახლომახლო უბნები.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ეცნობიან დელის ღირსშესანიშნაობებს

დელი, 19 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს დაათვალიერეს მაჰათმა განდი რაჯ გხათის კრემაციის ადგილი დელში მდინარე ჯამნის ნაპირზე. ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლებიც ღია მანქანით მიდიოდნენ, გულითადად მიესალმნენ მოქალაქენი, რომლებიც გზაზე შეიკრიბნენ. ჯამნის ნაპირზე, სადაც განდის ხსოვნის აღსანიშნავად გაკეთებულია მოედანი ქვითმოფენილი ბილიკებით, გაზონებით, ყვავილნარებით და შადრევნებით, სტუმრებს ელოდნენ დელის მცხოვრებნი. გაისმოდა მისალმების შეძახილები, ტაში.

ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა საზეიმო ვითარებაში შეამკეს ცოცხალი ყვავილების — ვარდებისა და ზიზილების გვირგვინებით ფილა, რომელიც დადგმულია განდის ნეშტის დაწვის ადგილზე. სტუმრებს ახლდნენ მთავრობის წარმომადგენელი — მრეწველობის მინისტრი ნ. კანუნგო, ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში მ. ა. მენშიკოვი.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაიწყეს ინდოეთის დედაქალაქის გაცნობა. ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ღია მანქანისა და მათი თანმხლები პირების მანქანების გზა გადიოდა განდის ნეშტის დაწვის ადგილიდან ძველი დელის ქუჩებზე. სახლების სახურავები, ფანჯრები, აივნები, ქვაფენილი და ტროტუარები გაჭედილი იყო ამ უბნების მცხოვრებლებით, რომლებმაც ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს სადღესასწაულო გულითადი შეხვედრა მოუწყეს. ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს გულთბილად მიესალმა ინდოეთის დედაქალაქის მოსახლეობა. „ჩვენ მშვიდობა გვინდა!", „გაუმარჯოს პანჩა შილას!" (ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი) — ლოზუნგებად ეწერა წითელ ქსოვილებს, რომლებიც გაჭიმული იყო ძველი დელის ქუჩებში. ქუჩები მორთული იყო სსრ კავშირისა და ინდოეთის ალმებით.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულეს წითელი ფორტი — დიდი მოგოლების იმპერიის პერიოდის ინდოეთის ხელოვნების ერთერთი სახელოვანი ეპოქის შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი.

1947 წლის 15 აგვისტოს წითელი ფორტის ციხის გალავანზე ჯავაჰარლალ ნერუმ აღმართა ინდოეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ალამი. მას შემდეგ ყოველ წელიწადს დამოუკიდებლობის დღეს წითელი ფორტის წინ იკრიბება სახალხო მიტინგები და პრემიერ-მინისტრი ნერუ სიტყვას წარმოთქვამს ხოლმე ციხის გალავნიდან.

წითელი ფორტის ძეგლების დათვალიერების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გაემართნენ ფორტის პირდაპირ მდებარე მეჩეთ ჯამა მასჯიდში — ინდოეთის უდიდეს მეჩეთში, რომელიც თავის შიგა ეზოებში 100 ათასამდე კაცს იტევს და რომელიც, ისე როგორც წითელი ფორტი, აგებულია XVII საუკუნეში იმპერატორ შაჰ ჯაჰანის დროს. ქუჩებში მეჩეთის წინ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ელოდა დაახლოებით 50 ათასი კაცი, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ სტუმრებს, როცა ისინი ადიოდნენ მეჩეთის იმ დიდებული შენობის მაღალ კიბეზე, რომელიც აგებულია წითელი სილაქვისა და თეთრი მარმარილოსაგან. პორტალის წინ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეეგება მეჩეთის იმამი საიიდ აბდულ ჰამიდი, რომელმაც სტუმრებს უჩვენა მეჩეთის შინაგანი მორთულობა და სხვა ღირსშესანიშნაობანი.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დელის ცენტრში დაათვალიერეს ძველისძველი ობსერვატორია ჯანტარ მანტარი, რომელიც აგებულია XVIII საუკუნეში ჯაიპურის რაჯას მიერ, რომელიც მფარველობდა ასტრონომიულ მეცნიერებას, სადაც დღემდე ინახება მასიური, აგურით მოგებული ნაგებობანი, რომლებიც განკუთვნილია ცის მნათობთა მოძრაობის გამოსარკვევად და შესასწავლად.

დასასრულს ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს დელის გარეუბანში მდებარე ინდოეთის XII საუკუნის არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი — 80-მეტრიანი მინარეთი კუტბა. მახლობელი სოფლის მერაულის ყველა მცხოვრები ალმებით და თავიანთი ოჯახებით გამოვიდნენ გზაში მინარეთის გალავანთან და მხურვალედ მიესალმნენ სტუმრებს.

პრეზიდენტის სასახლისაკენ დაბრუნებისას გზაში ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ყველგან სიხარულით და გულითადად მიესალმებოდნენ ინდოეთის დედაქალაქის მცხოვრებნი. ბევრ ქუჩაში არის მისასალმებელი წარწერები ინდოეთის ხალხთა ენებზე საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

ინდოეთის მეტალურგიული ქარხნის საბჭოთა პროექტი

საბჭოთა ინჟინრებმა დაამთავრეს მეტალურგიული ქარხნის პროექტის შემუშავება. ეს ქარხანა აიგება ინდოეთის რესპუბლიკის მადჰია პრადეშის შტატში.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილემ ვ. ბ. ხლებნიკოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ინდოეთის მეტალურგიული ქარხნის პროექტი შეიმუშავა მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელმა სახელმწიფო ინსტიტუტმა სპეციალიზებული სახელმწიფო დამპროექტებელი ორგანიზაციების მონაწილეობით. ეს პროექტი განიხილეს სპეციალისტმა მეტალურგებმა. პროექტის მასალები თარგმნილია ინგლისურ ენაზე და ახლა მთავრდება მათი გამოცემა. დეკემბრის დამდეგს საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი გაემგზავრება ინდოეთში, რათა პროექტი წარუდგინოს ინდოეთის მთავრობას და განიხილოს ინდოელ სპეციალისტებთან ერთად.

სსრ კავშირისა და ინდოეთის მთავრობებს შორის შეთანხმების შესაბამისად ქარხანას ექნება მეტალურგიული წარმოების სრული ციკლი. მას ექნება შემდეგი ძირითადი საამქროები: კოქსქიმიური, სააგლომერაციო, ბრძმედის, მარტენისა და საგლინავი, აგრეთვე შემკეთებელი, ენერგეტიკისა, სატრანსპორტო საამქროები და სხვა საერთოსაქარხნო მეურნეობანი.

საწარმოს სიმძლავრე დაწესებულია წელიწადში ერთი მილიონი ტონა ფოლადი. გათვალისწინებულია ქარხნის გაფართოება წელიწადში 1.300 ათასი ტონა ფოლადის გამოსადნობად, რითაც შესაძლებელი გახდება ყოველწლიურად გამოუშვან ერთი მილიონი ტონა მზა ნაგლინი. ქარხანა გამოუშვებს რკინიგზის რელსებს, შპალების ზოლებს, საშენ პროფილებს, სორტნაგლინს და სასაქონლო ნამზადს, რომელსაც შემდგომ გაგლინავენ ინდოეთის ქარხნებში.

საბჭოთა მეტალურგებმა ინდოეთის ქარხნის პროექტში გაითვალისწინეს ტექნიკის თანამედროვე მიღწევები. ქარხნის მშენებლობის შესახებ შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ, გარდა დაპროექტებისა, საბჭოთა მეტალურგები და მშენებლები ინდოელ სპეციალისტებთან ითანამშრომლებენ ქარხნის მშენებლობის დროს, ხოლო საბჭოთა მანქანათმშენებლები ქარხნისათვის გააკეთებენ მოწყობილობის მნიშვნელოვან რაოდენობას. გარდა ქარხნის პროექტისა, საბჭოთა სპეციალისტებმა მოამზადეს ინდოელ მოქალაქეთა სწავლების გეგმა, რომლებიც ქარხანაში იმუშავებენ მცირე ამუშავების შემდეგ.

ინდოეთის მეტალურგიული ქარხნის აგების მოსამზადებელ სამუშაოთა პროცესში თანამშრომლობა დამყარდა ინდოეთის სპეციალისტებსა და ორგანიზაციებთან. მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში სსრ კავშირში იყო ინდოელ მეტალურგთა დელეგაცია ბ-ნ კერის ხელმძღვანელობით. დელეგაცია გაეცნო საბჭოთა ქვეყნის ზოგიერთ მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ საწარმოს. ჩვენს სტუმრებს გააცნეს ინდოეთის მეტალურგიული ქარხნის ძირითადი საპროექტო გადაწყვეტანი და ერთობლივად განიხილეს ზოგიერთი საკითხი. საბჭოთა სპეციალისტები მადლობელი არიან ინდოეთის ორგანიზაციებისა და სპეციალისტებისა, რომლებმაც საბჭოთა ორგანიზაციებს მისცეს დაპროექტებისათვის საჭირო მთელი რიგი მასალები და მნიშვნელოვანი რჩევა.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — განაცხადა დასასრულ ამხ. ხლებნიკოვმა, — რომ ეს თანამშრომლობა გაფართოვდება და ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

არგენტინის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

19 ნოემბერს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა ქალაქ მოსკოვის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მიძღვნილი საყოველთაო სახალხო დღესასწაულის — არტილერიის დღისადმი. მაყურებელთა დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მარშლები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები, საარტილერიო მრეწველობის წარმომადგენლები, დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საზეიმო სხდომა გახსნა არტილერიის მარშალმა ს. ს. ვარენცოვმა. შესავალ სიტყვაში მან მოკლედ ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის არტილერიის განვითარების ისტორიაზე, საბჭოთა არტილერისტების გმირობაზე დიდი სამამულო ომის წლებში, არტილერიის ქვეგანაყოფთა მეომრების გულმოდგინე სწავლაზე ომისშემდგომ პერიოდში.

საბჭოთა არტილერისტებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: მოსკოვის მშრომელთაგან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ი. აფანასენკომ, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისაგან — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ა. რაპოხინმა, საარტილერიო მრეწველობის მუშების, მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან — კონსტრუქტორმა კ. ნ. ბოგდანოვმა.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა სპექტაკლი.

***

არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, კიევში, მინსკში, რიგასა და სხვა ქალაქებში.

(საკდესი).

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, ყოველდღიურ მინაპარტიული მუშაობის დონე

წყალტუბოს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

ოთხასამდე დელეგატი შეიკრიბა კურორტის თეატრის შენობაში საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს XI რაიონულ კონფერენციაზე. მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ურუშაძემ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო კულტურების თესვის, ჩაის ფოთლის კრეფის, აბრეშუმის პარკის დამზადების, საკვების დაგროვების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები.

რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა. გასულ სამეურნეო წელს წინა წელთან შედარებით მიღებულია 330.288 კილოგრამით მეტი რძე. ამავე დროს თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა გაზრდილია 205 კილოგრამით.

წყალტუბოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კურორტის კეთილმოწყობისათვის, ავადმყოფდამსვენებელთა სამედიცინო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

მეტ წილ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ არის გაჩაღებული მუშაობა მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ასამაღლებლად. ორგანიზებულად მიმდინარეობს მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელში. აგიტატორთა დიდი ნაწილი ნაყოფიერად მუშაობს მშრომელთა შორის, რაზმავს მათ პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამასთან ერთად საანგარიშო პერიოდში რაიონულ კომიტეტს სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა როგორც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, ისე მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა. იგი სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. აგროტექნიკური ღონისძიებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების შედეგად დაბალია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა.

მაღლაკის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ვ. უნგიაძე შეეხო საწარმოს საქმიანობას და აღნიშნა, რომ კოლექტივმა წელსაც დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით გაანაღდა. როგორც მან თქვა, რაიონში დაბალია ჩაის საშუალო მოსავლიანობა.

საქართველოს გუმბრინის მაღაროების პარტბიუროს მდივანმა გ. სადრაძემ და სხვა დელეგატებმა გააკრიტიკეს რაიისჯხოს აღმასკომის კულტურის გაწყვიტილება, რომელიც სუსტად იბრძვის მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

კულტურტვაჭრობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე ყურადღება გაამახვილა დელეგატმა ა. ვაჩნაძემ. მან აღნიშნა, რომ სანატორიუმების ხელმძღვანელები იძულებული არიან ზოგიერთი სახის პროდუქტები, მათ შორის ბოსტნეული, შორიდან შემოზიდონ, მაშინ როცა კურორტვაჭრობას ყველა შესაძლებლობა აქვს წყალტუბოს სოფლებიდან და მეზობელი რაიონებიდან შემოზიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დააკმაყოფილოს საკურორტო დაწესებულებათა მოთხოვნილება.

საკოლმეურნეო შრომაში კომკავშირელთა ავანგარდული როლის შესახებ ილაპარაკა საქართველოს ალკკ წყალტუბოს რაიკომის მდივანმა ე. ბაბუნაშვილმა. მან გააკრიტიკა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და პარტბიუროს მდივნები, რომლებიც უყურადღებოდ ეკიდებიან კომკავშირელთა მოთხოვნებს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების შექმნის შესახებ.

დელეგატმა პ. პოპოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მეცადინეობა.

წყალტუბო ახალი, მზარდი ქალაქია, სადაც ფართოდ არის გაჩაღებული მშენებლობა. მოსალოდნელი იყო, რომ კონფერენციაზე ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდა საკურორტო შენობა-ნაგებობათა დაპროექტებასა და მშენებლობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მაგრამ ასე არ მოხდა. ამ საკითხზე ნაწილობრივ მხოლოდ რაიკომის აღმასკომის თავმჯდომარე გ. გაგოშიძემ ილაპარაკა.

რაიონის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, კერძოდ სიმინდს. მაგრამ წელს სიმინდის ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს — საშუალოდ ჰექტარზე 4,9 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,1 ცენტნერისა. შეუსრულებელია ბოსტნეულის მოსავლიანობის დავალებაც.

ეს შეუწყნარებელი ჩამორჩენა არ შეიძლება მარტო უამინდობით აიხსნას, როგორც ამას კონფერენციაზე ზოგიერთი დელეგატი ცდილობდა. მარცვლეულის დაბალი მოსავლიანობა მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და მტს-ის ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ ნიადაგის და ნათესების მაღალხარისხოვნად დამუშავებას, ხოლო პარტიული ორგანიზაციები ქმედით ზომებს არ იღებდნენ კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთ მეშვიდედს შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია.

დელეგატმა პ. საყვარელიძემ აღნიშნა, რომ საკოლმეურნეო წარმოების მუშახელით უზრუნველყოფაში სერიოზული როლის შესრულება შეეძლო კოლმეურნეობებთან სეზონური საბავშვო ბაღებისა და ბაგების მოწყობას. ამის შესახებ თავის დროზე რაიკომმაც მიიღო სათანადო დადგენილება, მაგრამ იგი შემდეგ დავიწყებას მიეცა.

დამახასიათებელია, რომ კამათის მონაწილენი ერიდებოდნენ რაიკომის კრიტიკას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დელეგატ ა. გაგუას გამოსვლას. საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის დირექტორის ს. სანაძის გამოსვლაში იგრძნობოდა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა უფრო მეტად შტატების ხელოვნურ გაბერვაზე ფიქრობს, ვიდრე სამეცნიერო მოღვაწეობის ამაღლებასა და აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებაზე.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის სამინისტროები, აგრეთვე ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი ნაკლებ დახმარებას უწევენ წყალტუბოში მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს.

სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და რესპუბლიკის პროკურატურის მისამართით. რაიონის პროკურორმა ნ. ინოზემცევმა განაცხადა, რომ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის შემადგენლობა, რომელსაც ამხ. კერესელიძე თავმჯდომარეობს, ხშირად არასწორად აცვლის სახალხო სასამართლოს განაჩენებს. მან დამნაშავეებს ნ. ჭანტურიას და შ. გოგისვანიძეს ძმა-მე დანაშაული ხულიგნობის მუხლით შეუცვალა, თუმცა წყალტუბოს სახალხო სასამართლოს განაჩენის გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

კონფერენციამ რაიონული კომიტეტის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატები.

* * *

შედგა პარტიის წყალტუბოს რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ურუშაძე, მეორე მდივნად — ამხ. ს. რუხაძე, რაიკომის მდივნად მტს-ის ზონაში — ამხ. ნ. შონია.

ს. ხარაზიშვილი,
გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ნ. ა. ბულგანინი ეესტუმრა ინდოეთის ელჩს

ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნ ჯ. ბ. ბანერჯი ინდოეთის ელჩის ოფისში ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის — ინდოეთის რესპუბლიკის ჰიმნების ალაპარაკებლის — ინდოეთის ეროვნული ფერების — ალმის — ინდოეთის ეროვნული ბეჭდ

სასოფლო საბჭოს მუშაობის პრაქტიკიდან

ერთი სასოფლო საბჭოს ბიუჯეტი

ორი წლის წინათ მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს აღმასკომი ცუდად ასრულებდა ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილით გათვალისწინებულ საფინანსო გეგმებს. ამის გამო მეურნეობის ცალკეული დარგების დაფინანსებაში შეფერხებები იყო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებული მუშაობის მედეგად სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა, გაიზარდა მეცხოველეობისადმი ყურადღება, რასაც მოჰყვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების თვალსაჩინო გადიდება. გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ახლა მარტო მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ბიუჯეტს ორჯერ მეტ შემოსავალს აძლევს, ვიდრე წინა წლებში.

სასოფლო საბჭო და მისი აღმასკომი (თავმჯდომარე ი. ხუციშვილი) კარგად ხელმძღვანელობენ ბიუჯეტის შემოსავლის დროულად მიღებას და მიღებული ფულადი სახსრებით სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსებას. 1954 წლის ბიუჯეტი სასოფლო საბჭომ შემოსავლის ნაწილში 107 პროცენტით შეასრულა, შემოსავალმა გააკეთა 21 ათასი მანეთით გადააჭარბა. მიმდინარე წლის გასულ სამ კვარტალში ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ყველა მუხლის მიხედვით.

სასოფლო საბჭოს მუდმივი საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე — დეპუტატი დ. შახნაზაროვი), რომლის მუშაობაში ჩაბმულია 23 აქტივისტი, დიდ დახმარებას უწევს საბჭოს აღმასკომს საბიუჯეტო შემოსავლის გეგმების შესრულებაში. საჭირო შემთხვევაში საბიუჯეტო კომისიას საკითხები განსახილველად შეაქვს აღმასკომის სხდომებსა და სესიებზე. აღმასკომი კვარტალში ერთხელ მსჯელობს საფინანსო გეგმების შესრულებას მიმდინარეობაზე და ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის სახავს სათანადო ღონისძიებებს. მაგალითად, სასოფლო საბჭო მესამე კვარტალის დასაწყისში ჩამორჩებოდა საბიუჯეტო შემოსავლის გეგმების შესრულებაში. საბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები, საკითხი მოამზადა და აღმასკომის სხდომის განსახილველად შეიტანა. ჩამორჩენის გამოსასწორებლად აღმასკომმა მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება. მოსახლეობაში მასობრივი ახსნაგანმარტებითი მუშაობის გასაწევად გაიგზავნენ საბჭოს დეპუტატები, აქტივისტები. მიღებულ ღონისძიებას მალე სათანადო შედეგი მოჰყვა, სასოფლო საბჭომ მესამე კვარტალის საფინანსო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი ყაირათიანად და შედეგიანად ხარჯავს ბიუჯეტის თვითეულ მანეთს. დადგენილ ვადებში ეძლევათ ხელფასი პედაგოგებს, მედიცინის მუშაკებს, აღმასკომის თანამშრომლებს და სხვ.

ფულადი შემოსავლის წარმატებით შესრულების შედეგად სკოლები, ჯანმრთელობის ქსელი, ბიბლიოთეკები, აგრეთვე სხვა დაწესებულებანი, რომლებიც სასოფლო საბჭოს ბიუჯეტზე იმყოფებიან, უკვე სექტემბრისათვის მზად იყვნენ ზამთრისათვის.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი კონტროლს უწევს იმას, რომ დაწესებულებებმა დროულად აითვისონ ბიუჯეტით დამტკიცებული თანხები. ბიუჯეტით ნაკარაუდევი იყო, რომ 10 თვეში სკოლებში სასწავლო საჭიროებისათვის დახარჯულიყო 8,3 ათასი მანეთი. ეს თანხა მთლიანად ათვისებულია და მიზანშეწონილად არის გამოყენებული.

ამავე პერიოდში სამკურნალო დაწესებულებებმა მედიკამენტებისა და სამედიცინო ინვენტარის შესაძენად დახარჯეს 21,5 ათასი მანეთი, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 25-საწოლიან საავადმყოფოს, კულტურის სახლს, საშუალო სკოლას, ორ რვაწლიან და ორ დაწყებითს სკოლას.

სასოფლო საბჭო ნაყოფიერად მუშაობს ბიუჯეტგარეშე თანხების შესაგროვებლად. 1954 და 1955 წლებში თვითმფინანსვრის წესით შეგროვილი 40.000 მანეთი მოხმარდა სოფლის კეთილმოწყობასა და შიდასასოფლო გზების წესრიგზე მოყვანას. ამ რამდენიმე თვის წინათ სოფლის მთავარი ქუჩიდან საშუალო სკოლისაკენ მიმავალ გზაზე ცუდ ამინდში გავლა ძნელი იყო. ახლა ასე აღარ არის: სასოფლო საბჭომ ეს გზა მთლიანად მოხრეშა, რისთვისაც მოზიდულ იქნა 250 კუბმეტრზე მეტი ქვიშა. ასევე შეკეთდა საავადმყოფოსთან მისასვლელი გზა, წესრიგზე მოყვანილია მდინარე მეჯუდის ხიდის სავალი ნაწილი, მოეწყო საკოლმეურნეო ბაზარი, მისი ტერიტორია შემოიღობა, გაკეთდა საჯჩრო ფარდულები, მიღებულია ზომები სასმელი წყლის დეფიციტის გასაადიდებლად. ამ სამუშაოს შესასრულებლად სასოფლო საბჭომ თვითდაბეგვრის თანხებიდან მეჯვრისხევის კოლმეურნეობას 10.000 მანეთი ჩაურიცხა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო საბჭოს სოფლების კეთილმოწყობის საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი აქვს. სოფელ ზერტის ბიბლიოთეკის შენობას კაპიტალური რემონტი სჭირდება, მეჯვრისხევის საავადმყოფოში გასაყვანია სასმელი წყალი და სხვ.

მეჯვრისხევის სასოფლო საბჭომ და მისმა აღმასკომმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ მუშაობა მიმდინარე წლის საფინანსო-საბიუჯეტო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

პ. კალმახელიძე,
გორის რაიისბჭოს დეპუტატი.

წიგნის ერთთვიური

დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში რესპუბლიკის წიგნის მაღაზიებში, კიოსკებში. მრავალი მკითხველი დიდი ინტერესით ათვალიერებს და იძენს ახალ ლიტერატურას. წიგნის ერთთვიურის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მაღაზიებში განსაკუთრებით გაიზარდა მრავალნაირი წიგნების რაოდენობა.

ერთთვიურის განმავლობაში რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში დამატებით იგზავნება პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ლიტერატურა. სულ 1 ნოემბრიდან სოფლად გაიგზავნა მილიონნახევარზე მეტი მანეთის წიგნები. საწარმოებში — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, თბილისის სავაგონო დეპოში, ჩაის საწონ ფაბრიკაში, 26 კომისრის სახელობის ქარხანაში და სხვა საწარმოებში გაიხსნა დამატებით წიგნის კიოსკები.

იქ, სადაც ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ეხმარებიან წიგნის სავაჭროების მუშაკებს, ერთთვიური წარმატებით მიმდინარეობს. მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონში 15 დღის განმავლობაში გაიყიდა 25.000 მანეთის ლიტერატურა, ზესტაფონის რაიონში 10 დღეში გაიყიდა 16.000 მანეთის წიგნი, ქუთაისში — 95.000 მანეთისა. კარგად მიმდინარეობს წიგნების რეალიზაცია სამტრედიის, ახალციხის და სხვა რაიონებში.

წიგნის ერთთვიურის მნიშვნელობა სათანადოდ ვერ გაიგეს საჩხერის, წყალტუბოს, ყვარლის, ქარელის, ვანისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, რის გამო იქ სუსტად მიმდინარეობს წიგნის ერთთვიური.

ტექნიკური ლიტერატურის ფართო პოპულარიზაციის მიზნით რესპუბლიკის სამრეწველო რაიონებში — რუსთავში, ჭიათურაში, ტყიბულში, აგრეთვე ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში მოეწყობა წიგნის ბაზრობები. წიგნებს მიიტანენ შახტებში, ქარხნებში. ამ რაიონებში „საქწიგნმა" გაგზავნა დიდძალი ტექნიკური ლიტერატურა.

სიმონ ჩიქოვანის ერთტომეული

ახლახან სახელგამმა გამოსცა სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ სიმონ ჩიქოვანის ერთტომეული. წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „პირველი სიტყვა სამშობლოსათვის", „მამულს ვუთხრათ გამარჯვება", „ფიქრები მტკვრის პირას", „ზღვის პირას", „მთაო გადმიშვი", „შინიდან გაველ სამშობლოს გზაზე", „ლირიკული რვეული", „მეგობრული სიმღერები", „წინაპრები", „პოლონეთის გზაზე", „გოეთეს ცაცხვებთან" და პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე".

ერთტომეულში შესულია პოეტის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული რჩეული ლექსები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ საინტერესო პოეტის მდიდარ შემოქმედებაზე, მის განვლილ გზაზე.

ერთტომეულში შეტანილი ლექსების დიდმა უმრავლესობამ თავის დროზე ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მკითხველებში, ხოლო „სიმღერა დავით გურამიშვილზე" პირველი ხარისხის სტალინური პრემიით აღინიშნა.

წიგნს წამძღვარებული აქვს სიმონ ჩიქოვანის პორტრეტი, შესრულებული საქართველოს სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძის მიერ.

ერთტომეული, რომლის რედაქტორია შ. სულაბერიძე, შეიცავს 522 გვერდს. ტირაჟი 7.000, ფასი 12 მან.

ჭიათურის მიუვალ გამოქვაბულებში

ჭიათურის მიუვალ გამოქვაბულთა შესწავლის მიზნით ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის პირველ რიცხვებში შევადგინეთ ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ მთასვლელი გ. ყალაბეგაშვილი და სასპორტო საზოგადოება „მეტალურგის" მთასვლელთა სექციის წევრები ა. ფიფია, ნ. ჯაფარიძე, პ. აბაშიძე, გ. ბედოშვილი, გ. სამხარაძე, ვ. გოცაძე, რომლებიც მონაწილეობდნენ ჭიათურის გამოქვაბულთა შემსწავლელ ექსპედიციაში 1953 წელს.

ჭიათურის გარშემო აღმართულ ფრიალო კლდეებში გამოკვეთილ გამოქვაბულებს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „ჭიპიანი" კლდისა და „სატობავის" გამოქვაბულები, რომლებიც გადმოხურული კლდის ქვეშ ღრმად მდებარეობენ და მიუვალი არიან; ამიტომ მათში შესვლა დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა.

გამოქვაბულებში შესასვლელად „ჭიპიანი" კლდის გადმოხურული თავიდან 46 მეტრი სიგრძის თოკი ჩავუშვით; ამ თოკით ავტომატური საკეტი რგოლის („კარაბინის") საშუალებით ცურვით ჩაეშვა ა. ნემსიწვერიძე, რომელიც კლდის ხილრმეში არსებულ გამოქვაბულს 5 მეტრით აღმოჩნდა დაშორებული; ამიტომ გამოქვაბულის ქვევით მდგომებს მოუხდათ თოკის გაქანება, რომ მთასვლელს შეხძლებოდა მისწვდომოდა გამოქვაბულს. გამოქვაბულში დამაგრების შემდეგ სხვა მთასვლელებსაც გაუადვილდათ დაშვება, ხოლო გ. გაფრინდაშვილი ქვემოდან აიყვანეს. მან მოახდინა გამოქვაბულების აზომვა, აღწერა, ჩახატვა და ფოტოგადაღება.

„ჭიპიანი" კლდის გამოქვაბულთა კომპლექსი შედგება 5 სწორკუთხა სათავისაგან, რომლებიც კლდის ჰორიზონტალურად გვერდიგვერდ არიან განლაგებულნი. მათგან მხოლოდ მარცხენა სათავსია დაშორებული დანარჩენებს 13 მეტრით და მათ შორის კავშირი გამოქვაბულების წინ გამავალი გვირაბით უოფილა. თვით კლდეს გამოქვაბულების 19 მეტრით ქვემოდ სავალი ტერასა გასდევს.

ხუთ გამოქვაბულს შორის ერთი მცირე სამლოცველო სადგომია. მასში სამარხია, რომელიც დახურულია ქვის ფილებით და ზემოდან გადალესილია კირის ხსნარით. სამარხში მობნეულია ადამიანის ჩონჩხის ნაწილები. სახურავის შუა ქვა ამოღებულია და სამარხი გაძარცულია. აქვეა მარანი იატაკში ჩაფლული ქვევრებით და მცირე სათავისი ტამბურის სახით, რომელშიც კირის ხსნარით ამოლესილია დრმა ორმო წყლისათვის. განაპირა ცალკე სათავსში ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ამოკვეთილია ორმო, სადაც ჩადგმული ყოფილა რამდენიმე ქვევრი. გამოქვაბულები ხასიათდება ბრტყელი ჭერითა და დამუშავებულია მახვილწვერა და ბრტყელპირიანი რკინის იარაღებით.

მეცნიერულად და სპორტულად უფრო საინტერესო აღმოჩნდა „სატობავის" გამოქვაბულთა კომპლექსი. გამოქვაბულები გადმოხურული კლდის ქვეშ 8 მეტრ სიღრმეშია მოქცეული. ფასადზე გვერდიგვერდ ჩანს სამი ხვრელი. მარცხნივ კლდეს მცირე ქანობიანი ზოლი გასდევს, რომელიც ამ მიუვალ გამოქვაბულთა ძველი მისასვლელი გვირაბის ფრაგმენტია.

ამ გამოქვაბულში შესაღწევად კლდის თავიდან გადმოშვებულ იქნა 60 მეტრი სიგრძის თოკი, რომელიც გამოქვაბულს 8 მეტრით დაშორებული აღმოჩნდა. თოკით ჩამოსული ა. ნემსიწვერიძე მეტად რთულ პირობებში აღმოჩნდა. ქვემოთ 4 კაცი ძლიერად აჭანებდა თოკს და მხოლოდ მეხუთე ცდის შემდეგ ნემსიწვერიძემ მოახერხა შუა გამოქვაბულში დამაგრება. შეზიდულ თოკს ჩამოჰყვა მთასვლელი გ. სამხარაძე და ორივენი პალოების გამოყენებით გადავიდნენ გვერდთ სათავსებში.



სურათზე: სპორტის ოსტატი აღ. ნემსიწვერიძე „ჭიპიანი" კლდის გამოქვაბულში დაშვების დროს.

ფოტო გ. გაფრინდაშვილისა.

• • •

კომპლექსი სამი [illegible] სათავისაგან [illegible] დგება. კიდურა სათავსები წარმოადგენენ მარნებს, ხოლო შუა ხაცხოვრებლად ყოფილა გამოყენებული. მარჯვენა სათავსი დიდი მარანია. იატაკში ამოკვეთილ ორმოში აღმოჩნდა სამ მწკრივად ჩამარხული 8 ქვევრი, დახურული ქვის სარქველებითა და დაგლესილი აყალო მიწით, ჩანს, ქვევრებში ღვინო მდგარა. გარდა ამისა, მარანში იდგა 6 ქვევრი სურსათ-სანოვაგისათვის. ქვევრები სადგმელიანია, დეკორაციული ხალტითა და ხელსანის ნიშნებით, რითაც ისინი სხვა ცნობილი ქვევრებისაგან განსხვავდებიან. მარცხენა სათავსში 5 ჩამარხული ქვევრი და დარგული ვაზი აღმოჩნდა. შუა სათავსში კი არის კლდეში ამოკვეთილი გობის მაგვარი ორმო ქვის სახურავით, ხის როდინი სანაყი ქვით, ხელსაფქვავისა და ჭურჭლის ფრაგმენტები.

გამოქვაბულთა ორივე კომპლექსებს აქვს საერთო: მიმოსვლის საშუალებები — წინ გამავალი გვირაბები, ისევე როგორც მდინარე მტკვრის ზემო წელში ვარძიის მიდამოებში არსებულ ჯოლდის, ახჩიის და ვანის ქვაბთა ადრეული ჯგუფების კომპლექსებს. ორივე კომპლექსი შეიცავს მარანს, რის მაგალითები გვხვდება თვით ჭიათურის რაიონის სხვა მიუვალ კომპლექსებშიც, რაც პროფესორმა დ. მშვენიერაძემ შეისწავლა 1953 წელს. გამოქვაბულების სივრცობრივ-კომპოზიციური გადაწყვეტა და მთელი რიგი ნიშნების შეჯამება საშუალებას გვაძლევს წამოვაყენოთ წინასწარი მოსაზრება მათი შექმნის თარიღის შესახებ. სახელდობრ, ისინი გამოკვეთილი უნდა იყოს თმოგვის ციხის, ვერთაყანის და ახალი ნავარძიევის გამოქვაბულთა შექმნის პერიოდში, ე. ი. უსწრებს ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსის მშენებლობას.

აღსანიშნავია, რომ „ჭიპიანი" კლდისა და „სატობავის" გამოქვაბულთა კომპლექსები, ისევე როგორც აქვე არსებული მონასტრისა და უდაბნოს გამოქვაბულები, გაბნეული არიან მღვიმევის მონასტრის გარშემო და მასთან მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყვნენ. ეს კომპლექსები ადრინდელი არიან თვით მღვიმევის XII საუკუნის ეკლესიაზე.

გამოქვაბულთა კომპლექსებით მდიდარია არა მარტო ჭიათურის რაიონი, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებიც, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა სრულიად შეუსწავლელია. ეს გამოქვაბულთა კომპლექსები საინტერესოა იმით, რომ, ვინაიდან ისინი მიუვალია, აქ შესაძლებელია შემონახული იყოს ქართველი ერის მატერიალური კულტურის მასალები; ამასთან ამ გამოქვაბულთა შესწავლა საქართველოს ხამშენებლო ხელოვნების ბევრ საინტერესო საკითხს გაარკვევს და მოგვცემს მნიშვნელოვან მასალას ქართველთა საყოფაცხოვრებო სათავსების განვითარებაზე.

მიზანშეწონილი იქნებოდა მიუვალ გამოქვაბულთა შესწავლის საქმეს სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც სპეციალურად სწავლობს ვარძიისა და მესხეთის სხვა გამოქვაბულთა ხუროთმოძღვრებას.

მიუვალ გამოქვაბულთა შესწავლაში მეცნიერებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ქართველ მთასვლელებს; დღემდე ამ საქმეში მთასვლელების მონაწილეობას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

გ. გაფრინდაშვილი,
არქიტექტორი.

ა. ნემსიწვერიძე,
სპორტის ოსტატი.



სურათებზე: „სატობავის" მარანი. ზემოთ — ზეზე მდგომი ქვევრები. ქვემოთ—კლდის იატაკში ჩადგმული ქვევრები.

ფოტო გ. გაფრინდაშვილისა და ალ. ნემსიწვერიძისა.

ნიკო ლორთქიფანიძე

შესრულდა ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 75 წელი. ნ. ლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ცხრაასიან წლებში. პირველ ხანებში იგი წერდა მინიატიურებს ხალხის სოციალურ სიბეჩავეზე, სიყვარულზე. ეს ადრინდელი მინიატიურები ერთგვარი ძიება იყო ახალი ლიტერატურული ფორმისა, მოსამზადებელი პერიოდი დიდი ლიტერატურისათვის და, მართლაც, მან სულ მალე მიიპყრო ყურადღება, როგორც ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავმა ოსტატმა. მწერლის შემოქმედებაში ღრმად აისახა რევოლუციამდელი საქართველოს ეროვნული და სოციალური მდგომარეობა. ამ პერიოდს ეკუთვნის ისეთი მძაფრი ხასიათის მოთხრობები, როგორიც არის: „ტრაგედია უგმიროდ", „თავსაფრიანი დედაკაცი", „კერიისათვის" და სხვ.

საინტერესო მინიატიურაში „ტრაგედია უგმიროდ" ნ. ლორთქიფანიძემ დახატა რევოლუციამდელი გლეხის სიღარიბისა და სიდუხჭირის გამომხატველი ტრაგიკული სურათი.

სოფლის ცხოვრების ასეთივე მძაფრი სურათია გამოსახული მეორე მოთხრობაში „თავსაფრიანი დედაკაცი".

რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების სურათია გადმოცემული უფრო ვრცელ მოთხრობაში „კერიისათვის". აქ ნ. ლორთქიფანიძე ამჟღავნებს გლეხის ცხოვრებისა და მისი ფსიქოლოგიის დიდ ცოდნას. საკუთარი კერიისათვის ზრუნვა და ბრძოლა, რომელსაც თან სდევს იმედისა და ოცნების გაფერადება, ამ მოთხრობაში მოცემულია დიდი მხატვრული ძალით.

მართალია, ნ. ლორთქიფანიძის ადრინდელ მოთხრობათა ერთ ნაწილში ასახულია რევოლუციამდელი გლეხის დუხჭირი ცხოვრება, მაგრამ მაინც მისი შემოქმედების მთავარი თემა იყო ძველი ფეოდალური საქართველო. მწერლის პოეტური სტილია ყველაზე ბუნებრივად, ყველაზე სრულყოფილად ძველი საქართველოს გამოხატვაში გამოვლინდა.

ნ. ლორთქიფანიძე საქართველოს ძველი დიდების ნგრევას უთუოდ დიდი გულისტკივილით ხატავდა, მან მწუხარების მწარე ცრემლები აპკურა ამ გადაშენების მძიმე ამბავს და ამაში გამოვლინდა მისი მსოფლმხედველობის განსაზღვრულობა. მწერალმა აწეწილ საქართველოს ტრაგედია ყველაზე უფრო მწვავედ გადმოსცა მოთხრობაში „ჟამთა სიავე". აქ ნ. ლორთქიფანიძეს მკაცრად აქვს ხაზი გასმული ფეოდალური საქართველოს ნგრევის, ჟამთა სიავით გამოწვეული ძმათა სისხლის ღვრის, უკაცურობის მძაფრი შტრიხებისათვის. მწერალი კარგად ხედავს დაკნინებას, მაგრამ ვერ ამჩნევს ძალას, რომელსაც შეუძლია დიდება მოუტანოს საქართველოს.

ისტორიული წარსულის გამოხატვის ასეთივე გზაა არჩეული მოთხრობაში „დანგრეული ბუდეები". ამ მოთხრობას არა აქვს ერთი მთლიანი სიუჟეტი, იგი ცალკეული ფრაგმენტებია, რომლებშიც გადმოცემულია განადგურებული დიდების უტყუარი სურათი, დანგრეული ოდების, ჩამოვარდნილი ჭიშკრების, აჩეხილი ბაღებისა და ვენახების, სრული უკაცურობის მძაფრი სურათები.

მეორე მხრივ ნ. ლორთქიფანიძე მძაფრად ამხილებდა ძველ ბატონყმურ საქართველოს. გულქვა ბატონის, ბოროტი კაცის ფრიად განზოგადებული სახე დახატა მან ძველი ფეოდალური საქართველოს მეტად დამახასიათებელ სურათში, რომელსაც მწერალმა „მრისხანე ბატონი" უწოდა. ავტორი ამ მოთხრობას საგანგებო შენიშვნას უკეთებს — არაისტორიული მოთხრობაა და ამით ხაზს უსვამს, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე ბატონის კონკრეტული სახე, ერთი რომელიმე აღებული დროის სოციალური ფონი, არამედ ძველი ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი და დამახასიათებელი სურათია. ამ სურათის ტიპიური გამომხატველია თვით მოთხრობის გმირი ლევან ბატონი — მრისხანე, კაცთმოძულე, ბოროტი და დაუნდობელი.



ნ. ლორთქიფანიძე იყო სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მას გულს უკლავდა რევოლუციამდელი საქართველოს ბედი. იგი განრისხებული და აღშფოთებული იმაღლებდა ხმას „საქართველოს გამყიდველების წინააღმდეგ". 1919 წელს იგი წერდა: „იყიდება საქართველო მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალ სვე-ბედით, მშვენიერის ენით, ყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი, პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული. იყიდება ერთიანად შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე..."

ნ. ლორთქიფანიძეს ამ შავ დროშიც სწამდა საქართველოს მომავალი. მწერალი საქართველოს ყველაზე მძიმე დღეებში პოულობდა ადამიანებს, რომლებიც იმედით შეჰყურებდნენ საქართველოს მომავალს. აი სწავლული ოტია. იგი ვერ გატეხა ვერც ჟამთა სიავემ (როცა შვილი დედას არ ინდობდა, ძმა ძმას ჰკლავდა.), ვერც ომში ცალი ხელის დაკარგვამ, ვერც სიღარიბემ, ერთობლივი საქართველოს მომავალი მტკიცედ სწამდა.

ნ. ლორთქიფანიძის ოცნება და ფიქრი მუდამ საქართველოს ბედს, მის მომავალს დასტრიალებდა.

ნ. ლორთქიფანიძე პატრიოტიზმისა და სოციალური ჰუმანიზმის მაღალი იდეალებით დაუკავშირდა ქართული კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს და ამ გზით მოვიდა იგი ჩვენ დროსთან, სოციალისტურ მწერლობასთან.

ნიკო ლორთქიფანიძე შეუდარებელი მხატვარი იყო. მისი ძალა, როგორც მხატვრისა, მთელი სისრულით ვლინდება სიტყვის ოსტატობაში. მისთვის დამახასიათებელი იყო ლაკონიზმი, მკვრივი სიუჟეტი. მწერალი საგანგებო ყურადღებას არ აქცევდა ნაწარმოების სიუჟეტის მოწესრიგებას. ერთგვარი თავისუფალი განლაგება ამბისა, დაუცმაცებული თხრობა, შეკუმშული ფრაზები, მრავალწერტილები დამახასიათებელი იყო მისი წერის სტილისათვის. აქ თავისებურად იჩენდა თავს ექსპრესიონისტული მწერლობის სტილით გატაცება, რაც ნ. ლორთქიფანიძის ადრინდელი ნაწერებისათვის დამახასიათებელი იყო. მას თავისებური მოსაზრება ჰქონდა მწერლობის შესახებ. მწერალი ერთგან ასე გადმოგვცემს თავის შეხედულებას: „მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენთ ცხოვრებიდან... მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მკითხველს მოწყინდა უკვე შემუშავებული თავთავის ადგილზე პოვოს".

ნ. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტული სტილის ამ წესს თვითონაც იცავდა. იგი ერთი მხრივ შ. არაგვისპირელისა და ი. ევდოშვილის მსგავსად პროზაში მიმართავდა მცირე ფორმას — ეტიუდს, ესკიზს, სურათს, მინიატიურას. ბარნოვის მსგავსად იყენებდა რიტმულ პროზას, გალექსილ თხრობას, ოღონდ არქაიზმებისაგან თავისუფალს. მეორე მხრივ: ესთეტიზებულ მოთხრობას პლასტიკური დეტალების საშუალებით აგებდა ერთიანი მთლიანი სიუჟეტის გამორიცხვით, სადაც ცალკეული მომენტები დამოუკიდებლად ცოცხლობენ მოკლე თქმაში, მოკვეთილ სტილში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში უფრო მძლავრად იჩინა თავი რეალიზმმა. ეს ერთნაირად შეეხება როგორც მის მოთხრობებს, ისე მინიატიურებსაც. მცირე ფორმის მოთხრობებში ნ. ლორთქიფანიძე მძაფრად ამხილებდა ძველი ფეოდალური საქართველოს, თავადაზნაურული ყოფის უვარგისობასა და მიუღებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა „ეპისკოპოსი ნადირობაზე".

ნ. ლორთქიფანიძის რევოლუციამდელ ნაწარმოებებშიც ხმირად იყო მხილებული ძველი საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. მაგრამ მწერალი ნათლად ვერ ხედავდა, არ გრძნობდა ახალი საქართველოს გზას, ვერ ხედავდა იმ ძალას, რომელსაც უნდა ეხსნა საქართველო და გადაერჩინა დაღუპვისაგან. ეს ძალა მან მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაინახა და იგრძნო. მან დიდი სიყვარულითაც გამოხატა ეს ახალი ძალა თავის ცნობილ მოთხრობაში — „ბილიკებიდან ლაინდაგზე". ეს მოთხრობა პირველად 1928 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში". მოთხრობის თემად აღებულია 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო წლების რეაქციის ხანის ცხოვრება. აქ მწერალმა ნაწარმოების ცენტრში თბილისის ორთქლმავლის სახელოსნოს მუშა ბოლშევიკი, მებრძოლი რევოლუციონერი გაიოზ ლაბარდავა დააყენა და დიდი სიყვარულით გამოხატა ბოლშევიკ რევოლუციონერთა მუშაობის ისტორია.

ამ მოთხრობაში მეფეების, ფეოდალების და სასახლის კარის სურათების ნაცვლად მთელი სისრულით გამოჩნდა რევოლუციური მასების — ძარღვმაგარი მუშებისა და გლეხების, თავდადებული რევოლუციონერების საინტერესო სახეები და პორტრეტები. ნ. ლორთქიფანიძემ მისთვის დამახასიათებელი ფერადოვანი საღებავებითა და მხატვრული სიტყვის მომაჯადოებელი ძალით გამოხატა მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ნ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა აგრეთვე მოთხრობა „მოქანდაკე", სადაც პირველად სცადა ახალი სოციალისტური წყობილების ძალა და ძლიერება გამოეხატა. ამ მოთხრობაში დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით არის მოცემული საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა ადამიანებზე. აქ ნაჩვენებია, დეიდა სალომეს მიერ ჯაფითა და წვალებით აღზრდილი ობოლი და ღარიბი პარმენი როგორ აქცია ახალმა დრომ ცნობილ ადამიანად, სახელგანთქმულ მოქანდაკედ. მოთხრობის ფინალში ავტორმა ორი მოქანდაკის — სალომესა და პარმენის განახლებული ცხოვრების გზა დაუკავშირა მესამე უფრო დიდ მოქანდაკეს. ...„მესამე მოქანდაკე, ყველაზე უფრო დიდი და მასიური, ათასებს რომ აძლევს შესაძლებლობას თავისი ნიჭი და უნარი განავითაროს, აცდენილ გზიდან რომ სწორ გზაზე გამოიყვანოს, — ეს არის სახელმწიფოებრივი წყობილება და პარტიული ხელმძღვანელობა". ასე უმღერა თავისი შთაგონებული სიტყვით ნ. ლორთქიფანიძემ ჩვენს დროს, ჩვენს წყობილებას, კომუნისტურ პარტიას. ასე ჩადგა ნ. ლორთქიფანიძე საბჭოთა მწერლების მოწინავე რაზმში.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, სამამულო ომის მძაფრ დღეებში, სარეცელზე მიკრული მწერალი წერდა მგზნებარე პატრიოტულ მოთხრობებს „ტყვედ ყოფილის დაბრუნება", „ქედმოუხრელნი", სადაც მან სამშობლოსათვის თავდადებულთა უკვდავების აზრი გამოხატა.

საბჭოთა მკითხველი დღეს მადლიერების გრძნობით იგონებს ქართული სიტყვის ამ სახელმოხვეჭილ ოსტატს.

ს. ჯილაია.

მიტინგები ბერლინში ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის დამთავრებასთან დაკავშირებით

ბერლინი, 19 ნოემბერი. (საკლესი). გუშინ ბერლინის დემოკრატიული სექტორის მთელ რიგ რაიონებში გაიმართა მშრომელთა მიტინგები ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის დამთავრებასთან დაკავშირებით. მიტინგებზე გამოდიოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები — პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ჰ. ლოხი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ცილერი, პ. ვანდელი, ა. ნორდენი, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

გამოვიდა რა კარლ ლიბკნეხტის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხნის კოლექტივის წინაშე, პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა დაახასიათა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიცია უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში. ჩვენ გვსურს, თქვა მან, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა და არა დაძაბულობის განგრძობა ევროპაში, არა ნატო-ს პოლიტიკის განგრძობა. ჩვენ სავსებით ვუკმერთ მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, როგორც საშუალებას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა და გერმანიის გაერთიანების მიღწევისათვის ხელის შეწყობა.

ო. გროტეოლის გამოსვლა

შეეხო რა სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხს, ო. გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დაიდო პარიზის შეთანხმებანი და დაიწყო დასავლეთ გერმანიის გაძლიერებული რემილიტარიზაცია, თავისუფალი არჩევნების წინ აღიმართა ბარიერი, რომელიც აბრკოლებს არჩევნების განხორციელებას. დასავლეთის სახელმწიფოები კი ჟენევის თათბირზე აცხადებდნენ, რომ პარიზის შეთანხმებანი უნდა დარჩნენ, ხოლო მთელი გერმანია უნდა შევიდეს ნატო-ში და ამ პირობებში უნდა განხორციელდეს თავისუფალი არჩევნები. მაგრამ ეს იქნებოდა ისეთივე განვითარება, როგორც 1933 წლის არჩევნების დროს. განა გერმანელ ხალხს სურს გამეორდეს ეს საბედისწერო განვითარება? ამიტომ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი არჩევნები ხასარგებლო არ იქნება გერმანელი ხალხისათვის. ჩვენ ვემხრობით თავისუფალ არჩევნებს, მაგრამ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის, ნატო-ს ლიკვიდაციისა და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შეწყვეტის პირობებში.

ო. გროტეოლმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევისათვის საჭიროა შეიქმნას წანამძღვრები: საგარეო — ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაციის გზით და შინაგანი — გერმანელთა დაახლოების გზით. ამიტომ ჩვენ, თქვა მან, კვლავ ვაყენებთ ლოზუნგს: „გერმანელებო, ერთი მაგიდის გარშემო!“

მთელი ჩვენი ღონისძიებანი, განაცხადა გროტეოლმა, უნდა წარვმართოთ გერმანელი ხალხის მთელი ძალების დასარაზმავად ევროპის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიისათვის საბრძოლველად.

„ჟენევის თათბირმა დაადასტურა მოლაპარაკების საჭიროება“

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკლესი). თავიანთ კომენტარებში ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ საფრანგეთის მეტი წილი მემარჯვენე გაზეთები მყვირალა ფორმით აცხადებენ, „რომ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა“. ადგანან რა პროპაგანდისტულ ტაქტიკას, რომელიც „ცივი ომის“ მომხრეებმა ჯერ კიდევ თათბირის გახსნამდე გამოაცხადეს, ეს გაზეთები ცდილობენ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ მოხდა შეთანხმება განხილული საკითხების შესახებ, დააკისრონ სსრ კავშირის დელეგაციას. ამასთან „ფიგაროს“ და სხვა ბურჟუაზიული გაზეთების მიმომხილველნი, არსებითად, არ მალავენ, რომ, „ლაპარაკობენ რა „შეთანხმებაზე“, ისინი გულისხმობენ მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნების უთუო მიღებას და არა ისეთ ნამდვილად შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა ძიების შედეგს, რომლებიც შეესაბამება მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

„ფრან-ტირერი“, ისევე როგორც სხვა მემარჯვენე გაზეთები, დამახინჯებულად განმარტავს სსრ კავშირის დელეგაციის პოზიციას გერმანიის საკითხში, მაგრამ ამავე დროს შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკას (რომელსაც, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს მისწრაფება იმისადმი, რომ რემილიტარიზებულ იქნას მთელი გერმანია და რომელიც ამით ხელს უშლის პირობების შექმნას გერმანიის გაერთიანებისათვის) უარყოფითად გამოეხმაურება გერმანიის საზოგადოებრივი აზრი. „პასუხისმგებლობა ამისათვის, წერს გაზეთი, — ეკისრება დასავლეთის დიპლომატებს, რომლებიც, ანიჭებენ რა მომავალ გაერთიანებულ გერმანიას კავშირის არჩევის თავისუფლებას, ფიქრობენ მხოლოდ გერმანიის შესვლაზე ნატო-ში“.

აღნიშნავს რა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები ვერ შეთანხმდნენ, გაზეთი „ოროორი“ ამავე დროს ხაზგასმით აცხადებს, რომ ჟენევის თათბირის შედეგად „კარი ღია რჩება“ ახალი მოლაპარაკებისათვის.

გაზეთ „კომბას“ მიმომხილველი ამტკიცებს, რომ „პრობლემები, რომლებსაც 16 სხდომის განმავლობაში განიხილავდნენ, ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული გადასაჭრელად. მაგრამ, გაზეთის სიტყვით, მარტო შეთანხმების გამონახვის ფაქტი, მარტო ის ფაქტი, რომ ერთსულოვნად უარყოფილია ძალის გამოყენების პრინციპი — თავისთავად კეთილსასურველი ელემენტია“.

თავის მხრივ გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ „ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირმა დაადასტურა, რომ საჭიროა მოლაპარაკება“: „თათბირმა დაადასტურა მათი სურვილი განაგრძონ ეს მოლაპარაკება, — წერს გაზეთი, — დაუზუსტა რა ორივე მხარის თვალსაზრისები, თათბირმა ხელეწყველი დატოვა მანსები და გარკვეულობა შეიტანა ვითარებაში“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ თათბირის მსვლელობაში მარცხი განიცადა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკამ, რასაც ქადაგებს დასავლეთის ზოგიერთი დიპლომატი. „ოთხი მინისტრის თათბირი, — წერს „ლიბერასიონი“,—შესაძლოა ამ პოლიტიკის უკანასკნელი გამოვლინება იყო, რამდენადაც გამომეღავნდა მისი სრული უნაყოფობა. მაგრამ ამ თათბირმა აგრეთვე დამტკიცა, რომ ჟენევის სულისკვეთებას მეტად ღრმად გაუდგამს ფესვები ცხოვრებაში და მისი მოსპობა შეუძლებელია. უკანასკნელი თვეების განმავლობაში კიდევ უფრო გაუმჯობესდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, კიდევ უფრო გაუარესდა იმათი საერთაშორისო პოზიციები, ვინც ქადაგებს ჯვაროსნულ ლაშქრობას და ატომური იარაღის გამოყენებას“... გაზეთი აღნიშნავს, რომ მოძრაობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ „გაგრძელდება და მომავალმა თათბირებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ მოძრაობას“.

აღნიშნავს რა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვერ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებიც ახორციელებენ მთავრობათა მეთაურების დირექტივებს, გაზეთი „ლუმანიტე“ აცხადებს, რომ ამის მიზეზია პოზიცია, რომელიც დაიკავეს დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

„სამი კვირის დისკუსიამ, — წერს „ლუმანიტე“, — დაადასტურა:

ჯერ-ერთი, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ არა ის, რომ შეიქმნას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა, არამედ გერმანიის რემილიტარიზაცია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობა და ოდერის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის ატლანტიკის შტაბის განკარგულებაში გადაცემა;

მეორე, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უარს ამბობენ მიიღონ რეალური გადაწყვეტილება განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, მაგრამ სურვილი აქვთ დაუსრულებლად იკამათონ შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ;

მესამე, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ დარჩეს დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან ვაჭრობის განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის. და მათი სურვილია ინფორმაციისა და იდეების გაცვლის გაფართოების საბაბით თავისუფლად განხორციელონ ძირგამომთხრელი საქმიანობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში.

„ლუმანიტე“ შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა, მიუხედავად ზოგიერთი კომენტატორის მტკიცებისა, ვერ მოსპო „ჟენევის სულისკვეთება“. „რა თქმა უნდა, — წერს გაზეთი, — ამჯერად ოთხმა მინისტრმა კონკრეტულ შედეგებს ვერ მიაღწია, მაგრამ მშვიდობისათვის საჭირო ბრძოლის შემდგომმა გაძლიერებამ უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები მომავალი მოლაპარაკებისათვის“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეათე სესიაზე

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკლესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეათე სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა გამართა პრეს-კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე. პრეს-კონფერენციაზე ვ. ვ. კუზნეცოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უახლოეს ხანში უნდა განიხილოს ფრიად დიდმნიშვნელოვანი, დიდი ხანია მომწიფებული პრობლემა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხი.

როგორც ცნობილია, ამ საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში მიმდინარეობდა მრავალი წლის განძილზე, მაგრამ დღემდე იგი გადაუჭრელი რჩება. ბევრი სახელმწიფო, რომლებსაც როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს შეეძლოთ თავიანთი წვლილი შეეტანათ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში, ამ ორგანიზაციის გარეთ რჩება.

განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ შემოიტანა შემდეგმა 18 ქვეყანამ, თუ მათ ჩამოთვლილთ მათგან განცხადებათა შემოსვლის რიგის მიხედვით: ალბანეთმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, ტრანსიორდანიამ, ირლანდიამ, პორტუგალიამ, უნგრეთმა, იტალიამ, ავსტრიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა, ფინეთმა, ცეილონმა, ნეპალმა, ლიბიამ, კამბოჯამ, იაპონიამ, ლაოსმა, ესპანეთმა.

ასამბლეაზე დელეგაციების უმრავლესობას შორის არის გარკვეული მისწრაფება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხი გადაიჭრას გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე. ამასთან დელეგაციების დიდი უმრავლესობა იმის მომხრეა, რომ ასამბლეამ მიიღოს დელეგაციებთან მოლაპარაკებისას წამოყენებული კანდიდატურა ამის შესახებ, რომ 18-ვე სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღონ ამ სესიაზე.

საბჭოთა კავშირი მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს უსწრაფესად გადაიჭრას ახალი წევრების მიღების საკითხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, როგორც სახელმწიფოთა ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, უნდა ჰყავდეს თავის შემადგენლობაში ყველა სახელმწიფო, რომელიც აკმაყოფილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს, განურჩევლად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი პრეს-კონფერენციის დამსწრეებსა იციან, რომ საუბრებში, რომლებიც ამ უკანასკნელ დღეებში გაიმართა ჟენევაში ვ. მ. მოლოტოვსა და დალესს შორის, აგრეთვე ვ. მ. მოლოტოვსა და მაკმილანს შორის, განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხი.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ვ. ვ. კუზნეცოვის პრეს-კონფერენცია

პრესის ცნობებში აღნიშნული იყო, რომ ვ. მ. მოლოტოვმა აცნობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომ საბჭოთა მთავრობა მომხრეა ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე გადაიჭრას ეს გაჭიანურებული საკითხი. ამიტომ საბჭოთა მთავრობა სავსებით და მთლიანად უჭერს მხარს კანადის წინადადებას უკლებლივ ყველა ზემოაღნიშნული 18 სახელმწიფოს მიღებას შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამასთან ვ. მ. მოლოტოვმა იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთიც მხარს დაუჭერენ კანადის აღნიშნულ წინადადებას.

კანადის წინადადების მიღება ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას და სერიოზული წვლილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში.

ვლასპარაკობთ რა ახალი წევრების მიღებაზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დელეგაცია ასამბლეაზე წინანდებურად ცდილობს ხელი შეუშალოს ამ საკითხის დადებითად გადაჭრას. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ბ-ნ ლოჯის 13 ნოემბრის განცხადება. ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ მხარი დაუჭირონ წინადადებას ყველა დასახელებული 18 სახელმწიფოს მიღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამასთან, შეერთებული შტატები კვლავ გამოდიან ზოგიერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება არ მოსწონთ შეერთებულ შტატებს. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ასეთი პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ გარემოებით, რომ ბ-ნი ლოჯი იმეორებს არაერთხელ მხილებულ მონაჭორს სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც არ მოსწონთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, უფრო დამაჯერებელი როდი ხდება მისი მოსაზრებები.

ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წარსულშიც სიძნელეებს ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრაში იწვევდა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, აშკარად არღვევდნენ რა წესდების დებულებებს, ახორციელებდნენ დისკრიმინაციის პოლიტიკას ზოგიერთი სახელმწიფოს მიმართ და ფავორიტიზმის პოლიტიკას სხვების მიმართ.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ უშიშროების საბჭოსა და ასამბლეის გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 18 სახელმწიფოს მიღების შესახებ, განურჩევლად მათი პოლიტიკური და სოციალური წყობილებისა, სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ამასთან ეს გადაწყვეტილება საგრძნობწილად შეუწყობდა ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებას.

შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე. უპასუხა რა ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტის კითხვაზე, ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხნის მისცემს 18 ქვეყნის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ პირობით, რომ 18-ვე ქვეყანა მიღებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოთა დელეგაცია, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, კატეგორიულად უარს იტყვის განიხილოს რომელიმე სხვა წინადადება და იმოქმედებს ამ შემთხვევაში წესდებისა და იმ უფლებების შესაბამისად რომლებსაც წესდება ანიჭებს საბჭოთა დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში.

უპასუხა რა კითხვაზე, შეიძლება თუ არა გადაიდოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღება და მიღებულ იქნას ამჟამად 17 სახელმწიფო, კუზნეცოვმა თქვა: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობის უფლება აქვს არანაკლებ, ვიდრე ყველა დანარჩენ 17 სახელმწიფოს. ამიტომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საკითხი უნდა გადაწყდეს ისევე, როგორც დანარჩენი 17 სახელმწიფოს მიმართ. რაც შეეხება თვით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, იგი, როგორც თქვენ იცით, არის დამოუკიდებელი ქვეყანა, ჰყავს მთავრობა, რომელიც თავისი ხალხის სრული მხარდაჭერით სარგებლობს. მასთან დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მრავალ ქვეყანას.

„ინფორმეიშნ ნიუს სერვისის“ კორესპონდენტის კითხვაზე ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია კატეგორიულად წინააღმდეგი იქნება იმისა, რომ გადაიდოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საკითხის განხილვა, და დათანხმდება განხილულ იქნას მხოლოდ 18-ვე სახელმწიფოს მიღების საკითხი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 18 ნოემბერი. (საკლესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, უნგრეთის სახელმწიფო კრების თავმჯდომარის შ. რონაის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მდივნის დარაბოშის თანხლებით ჩამოვიდა სეგედში (სამხრეთ უნგრეთი). ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ჩამოსვლის გამო გაიმართა მშრომელთა მიტინგი.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დენეშმა მხურვალე მადლობა უძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის სტუმრობისათვის.

მიტინგზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის წევრმა პ. გ. მოსკატოვმა.

დღისით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია დაესწრო სეგედის საქალაქო საბჭოს სესიას.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა ნ. მ. პეგოვმა.

ეცნობოდა რა ქალაქის ცხოვრებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ დათვალიერა საფეიქრო კომბინატი — უნგრეთის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო საწარმო. კომბინატის მუშაკები გულითადად მიესალმნენ დელეგაციის და სთხოვეს მას უაღრესად გულწრფელი ძმური სალამი გადასცეს საბჭოთა ხალხს, მის მთავრობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საფრანგეთის პოლიციის ხელისუფალთა უხეში პროვოკაცია

პარიზში საბინაო მშენებლობის მუშაკების საბჭოთა დელეგაციის პრეს-კონფერენციიდან

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკლესი). საბინაო მშენებლობის მუშაკების საბჭოთა დელეგაციის თხოვნით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან სსრ კავშირში მომავალი პარიზში იმყოფება, დღეს სსრ კავშირის საელჩოში საფრანგეთში გაიმართა პრეს-კონფერენცია იმ პროვოკაციასთან დაკავშირებით, რომელიც ამ დელეგაციის მიმართ მოეწყო. მრავალრიცხოვან ფრანგ და უცხოელ ჟურნალისტებს მოელე განცხადება გაუკეთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. კ. კოზიულიამ, რომელმაც აღფოთება გამოთქვა აღნიშნულ პროვოკაციასთან დაკავშირებით.

შემდეგ გამოვიდა ცნობილი საბჭოთა არქიტექტორი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ვ. ვლასოვი. მან განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც იგი თბომავალ „კუნე ელიზაბეტით“ შერბურს ჩავიდა, საფრანგეთის პოლიციის ხელისუფლებმა, მისი დიპლომატიური იმუნიტეტის მიუხედავად, სცადეს დაეკავებინათ იგი და ჩამოუშორებინათ დანარჩენი დელეგაციისათვის. პოლიციის ხელისუფალთა ერთერთმა წარმომადგენელმა ა. ვ. ვლასოვს წინადადება მისცა არ დაბრუნებულიყო სამშობლოში; მაგრამ მან მტკიცედ უარყო ეს საზიზღარი წინადადება და დაეჯიუტებით მოითხოვა თბომავლის დატოვების ნებართვა. ეს ნებართვა მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელმა ენერგიული პროტესტი განაცხადა.

პარიზში ჩასვლის შემდეგ სენ ლაზარის ვაგზალში ხულიგანთა ჯგუფი თავს დაესხა დელეგაციას და კვლავ შეეცადა ჩამოეშორებინა მისთვის ა. ვ. ვლასოვი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხულიგნებმა ფიზიკური ძალა გამოიყენეს დელეგაციის მეთაურის ი. კ. კოზიულიას, ა. ვ. ვლასოვისა და დელეგაციის სხვა წევრების მიმართ. საგულისხმოა, რომ მატარებლის მისვლის მომენტისათვის სენ ლაზარის ვაგზალში უძვე იყო პარიზის გაზეთების ჟურნალისტთა და ფოტორეპორტიორთა დიდი ჯგუფი, რაც მოწმობს, რომ ეს პროვოკაცია წინასწარ მოფიქრებით მოამზადეს.

დელეგაციის მეთაურმა ი. კ. კოზიულიამ და ა. ვ. ვლასოვმა პრეს-კონფერენციაზე თავიანთ გამოსვლაში აღფოთება გამოთქვეს ამ მოქმედების გამო და მტკიცე პროტესტი განაცხადეს აღნიშნულ პროვოკაციასთან დაკავშირებით, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება საფრანგეთის მთავრობის არაერთგზის განცხადებას, რომ სასურველია ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კონტაქტები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და მოხდეს დელეგაციათა ურთიერთგაცვლა.



თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლი თარხნიშვილის ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

გ. მ. მარუაშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პროფესორ ს. ვირსალაძის სახელობის მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ვისცერული ლეიშმანიოზის ეპიდემიოლოგიური და კლინიკური თავისებურებანი საქართველოში“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. მ. მარუაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება და პროფესორის სამეცნიერო წოდების მიკუთვნება.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

18 ნოემბერს ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში გაიმართა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეკრიბნენ თბილისის ახალგაზრდობის წარმომადგენლები — წარმოების მოწინავე მუშაკნი, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები, სტუდენტები, მოსწავლეები. საღამოზე იყვნენ ავრეთვე ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ჩინეთისა და კორეის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებიც თბილისში სწავლობენ.

საღამო გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

მოხსენება თემაზე: „დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის 10 წლისთავი“ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ბანძელაძემ. შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგე ლ. სადრაძე, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვარშავის V მსოფლიო ფესტივალის მონაწილე ა. დვალი, ოროთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მექანიკი ნ. ტომარაძე და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს მშვიდობისადმი ახალგაზრდობის მისწრაფებაზე, მის მზადყოფნაზე განამტკიცოს თავისი რიგების ერთიანობა.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საკლესი).

შეშა და ქვანახშირი

წელს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სათბობ მასალათა ტრესტი „თბილსათბობი“ მომზადებული შეხვდა გათბობის სეზონს. 90.000 კუბური მეტრი შეშიდან, რომელიც უნდა შემოეზიდა ტრესტს, უკვე შემოზიდულია 88.400 კუბური მეტრი. ეს რაოდენობა მთლიანად დაკმაყოფილებს როგორც მოსახლეობის, ისე საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა საჭიროებას. ტრესტს ნავარაუდევი აქვს გეგმის ზჯადმეტებით შემოიტანოს რამდენიმე ათასი კუბური მეტრი შეშა. შეშის მთავარ საწყობებში მოწყობილია ელექტროსამხერხაოები.

გარდა ამისა, მოსახლეობისა და საწარმო-დაწესებულებებისათვის შემოზიდულია 18.600 ტონა ქვანახშირი, სულ კი სეზონში შემოზიდულ იქნება 25.000 ტონა.

სასამართლო

მშობლების გამოქომაგების შედეგად

თავაშვებულება, უდისციპლინობა, სწავლაში წარუმატებლობა ახასიათებდა თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მეათეკლასელ ეირან გუგუშვილს. ეშვიათად მოხდებოდა, რომ მას გაკვეთილზე წესრიგი არ დაერღვია, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ხელი არ შეეშალა. მის გამოსასწორებლად არაერთხელ იქნა მიღებული ზომები. ეს მდგომარეობა მშობლებს აცნობეს და დახმარება სთხოვეს, მაგრამ ამაოდ. მშობლებმა შვილის გამართლება სცადეს.

მშობლებისაგან გათამამებულმა ეირანმა სკოლის გარეთაც დაიწყო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ამას წინათ იგი დათვრა, ფინური დანით შეიარაღდა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს ეწვია. სპექტაკლის მიმდინარეობისას დაუსრულებელი წამოძახილებითა და ხმაურით იქაურობას იკლებდა, მაგრამ როცა წესრიგისაკენ მოუწოდეს, აურზაური ატეხა, თეატრის თანამშრომელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, გზის გასაკაფავად ჯიბიდან დანა ამოიღო, მაგრამ ქუჩაში გასვლამდე იგი მილიციელებმა დააკავეს.

ე. გუგუშვილის საქმე ამას წინათ გაარჩია თბილისის ტალინის რაიონის მეექვსე უბნის სახალხო სასამართლომ. სასამართლო პროცესზე მოსალოდნელი იყო, რომ გუგუშვილი გულხდილად აღიარებდა დანაშაულს და პატიებას ითხოვდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მოსამართლის, პროკურორისა და დამცველის კითხვებს აზრებულად უპასუხებდა, სინანულს გვერდს უვლიდა.

სახალხო სასამართლო ამ დასკვნამდე მივიდა, რომ გუგუშვილი საზოგადოებრივი წესრიგის შემთხვევითი დამრღვევი არ არის და, რაც მთავარია, არ ცნობს ჩადენილ დანაშაულს. ამიტომ სახალხო სასამართლომ ლ. არზანის თავმჯდომარეობით ეირან ვლადიმერის-ძე გუგუშვილს თეატრში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ხულიგნობისა და უნებართვოდ ფინური დანის ტარებისათვის მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ბავშვთა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით.

ბ. ხენგბაია.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურკიკიძე.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი

(კამოს ქ. № 34-36)

1955 წ. 30 ნოემბერს დღის 2 საათზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ლეონიდე ალექსის-ძე დრაკინი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Исследование фенолов генераторной смолы ткибульских смоляных липтобиолитов“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

20 ნოემბერს

უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი

ლომების ატრაქციონი

მომთვინიერებელი

რსფსრ დამსახურებული არტისტი

ალექსანდრე და თამარ გუსლაევები

დიდი საცირკო პროგრამა 3 განყ.

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

კვირას, 20 ნოემბერს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სალაროებში.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ექიმი აიბოლიტი (დილას), თავადი იგორი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები (დილას), პირველი ნაბიჯი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის**— რაიკომის მდივანი (დილას), უფსკრულთან (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — იასამნის ბაღში (დილას), პერსონალური საქმე (საღამოს), **სომხური დრამის** — სომხეთის მთებში (დილა-საღამოს), **